



ნოჯისური

ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
მძინარეც ამას ვდუდუნებ
ვაჟა-ფშაველა

ლიტერატურული გაზეთი №39 მირკანი, 2017

ეჰ, ვუმზარ საქართველოს და გული ცრემლებით მევსება. უნინ დადამინის სამოთხე რომ იყო, დღეს კვნესის და ქაოსად ქცეულა...

სამეგრელოს გლეხთა აჯანყების
160 წლისთავი (1856-57 წწ.)



უტუ მიქაპას კიგლი ნალენჯიხაში.
ოხრდაც დარჩეს ისეთი სამშობლო, სადაც ადამიანურად ვერ იცხოვრებ, სადაც ვით ნადირს დაგდევენ.
კაცის (ბატონის) კაცი არ უნდა არსებობდეს!

უტუ ჯოტოს კი მიქაპა,
სამეგრელოს 1856-57 წწ.
გლეხთა აჯანყების მთავარი მეთაური.

ყველას ჩვენში რომ სურს
დამკვიდრება მსხემსა! —
როგორ გასწვდეს მოსულთ
მინა — ერთი ხემსი!
ხალხნი არ ხართ, ხალხნი?! —
ჰკითხეთ ერთი ღმერთსა: —
რა ილონოს, — რა ჰყოს
მინამ — ერთმა ხემსმა?!
მუსრან მაჭავარიანი

დედაო, საქართველოვ...

დედაო, საქართველოვ, ჩვენო ეზო-კარო,
დამწმენდილო არავგო, ამღვრეულო მტკვარო;
ალაზანო, შენი ხმა ჭალას ძლივს რომ ესმის,
ყვირილო, მყვირალო იმერეთის მთებში,
ქუჩო, ჩუმო, უჩინოვ, კლდის ლიბო რომ გმაღავს
და კლდის თავზე ბერმუხავ, ქედმაღალო მარად;
შევარდენო, მბრუნავო მწვერვალზე მაღლა
და ძირს, მინდვრის ხაოში განაბულო ღალღავ;
უშიშარო არნივო, მეხთან შენაბრძოლო
და ფერდობზე, ბარდებში, გულმშიშარა გნოლო;
ვარძიაში თამარის წყაროვ, წყნარზე წყნარო
და შენ, პალიასტომის ზვირთო, დაუმცხარალო;
რუხო, ნოქალაქეო, ნისლს ახლაც რომ იხვევთ,
ჩვენო ახალქალაქო, ჩვენო ახალციხევე;
ძველო დიოსკურიავ ზღვადაღვრილო გულზე
და ახლო რუსთავო, მზეს ღალღად რომ უმზერ;
მამეულო მამულო, ტბეთო, არტანუჯო,
ანეულო ცარგვალო, ნაქცეულო ბურჯო;
ზღვისპირეთში ზამთარშიც გაზაფხულის დარო,
თიბათევეში თეთნულდზე თოვლო დაუმდნარო;
ნარიყალას ბურჯებზე მოდებულო ხავსო
და ახლო თბილისო, შუქურბადის მსგავსო;
დედაო, საქართველოვ, ახლო და ძველო,
შენი წინსვლისა იყოს, შენი სადღეგრძელო!

იოსებ ნონევილი

რომც ეწყინოს ზოგს
როცა ხარობს ბრბო:
— ამერიკამ გვცნო!
როცა ხარობს ბრბო:
— გერმანიამ გვცნო!
ვაქებ ვინც იმ დროს
(რომც ეწყინოს ზოგს)
თავს მათხოვრად გრძნობს!
ჰაი გიდი!
ჩემო კარგო ქვეყანავ! —
ცნობის ღირსიც
ალარა ხარ შენ განა?!
მუსრან მაჭავარიანი

წამით ხვიჩა ვარსკვლავები
მონკურავენ თვალებს.
მოდექი და ეგ ციცილია ცანგალევი თვალე...
ბებერ ქვათა მხურვალეობა მოიჩრდილე ხელით...
მღერის ვილაც შორეულში, ოდოიას მღერის,
როგორც წითელბატონები და მირონის წვეთია,
ტანზე აყრის საქართველოს ეს უკვდავი სევდა...
ბონდოია მიდის, მიდის...
და კოლხეთის ველზე,
ოდოიას აღარ უსმენს, ოდოიას ეძებს.
ზურაბ გორგილაძე

„იქნებ... მეტი დაფიქრება
ეპიზის?!“

... ისტორიული თვალსაზრისით, რუსეთისა და რუსე-
ბის, ისევე როგორც ჩვენივე თანამემამულეების, წინააღმ-
დეგ არაერთი ფაქტის გახსენება შეიძლება, მაგრამ უნდა
შევიგნოთ, რომ ჩვენ ვდგავართ ყოფნა-არყოფნის წინაშე;
შექმნილია ვითარება, როდესაც ორი არასასურველი შე-
საძლებლობიდან ერთ-ერთი აუცილებლად უნდა ავირჩი-
ოთ. მიუხედავად XX საუკუნის 70-წლიანი ანექსიისა, უნდა
შევძლოთ განსხვავება: რუსეთში გადარჩა საქართველო
თუ თურქეთში? რუსეთთან შეერთებულ საქართველოში
შეინარჩუნა ქართველმა ეროვნულ-სარწმუნოებრივი სახე
თუ თურქეთის საზღვრებში მოქცეული ტაო-კლარჯეთის
ძალით გამაჰმადიანებულმა გურჯმა? თუნდაც ახლან-
დელი და საბჭოთა კავშირისდროინდელი საზოგადოების
ზნეობრივი სახე შევადართო ერთმანეთს: უკაცრავად,
მაგრამ ამ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ჩვენმა მან-
დილოსნებმა დასავლური მანერები იმდენად შეითვისეს,
რომ დაფლეთილი სამოსის ტარება და ჟარგონით მეტყვე-
ლება კულტურულ გარემოშიც არ ერიდებათ. ახლა წარ-
მოიდგინეთ, რუსეთთან ორსაუკუნოვანი ურთიერთობის
მსგავსად, ამერიკასთან და ევროპასთან რომ გაგრძელ-
დეს პოლიტიკური თანამშრომლობა, საერთოდ იარსებებს
თუ არა ქართული ეთნოსი?!

„სამი საუჯა“
2015

**საქართველოს გვედრი,
ღმერთო!**
საქართველოს გვედრი, ღმერთო,
მარადიულ საცხოვრისად, —
რომ სენაკში მუდამ ენთოს
შარავანდი მაცხოვრისა!
მარეკინე ისევ ზარი
ყინწვისის და გელათისა,
რომ არ გაჩნდეს გულში ბზარი,
მასვი ღვინო ხელადისა!
მაძებნიე ნატურფალი
დედოფალის თამარისა,
დამაფარე როგორც ფარი,
ზეცა შენი კამარისა!
თუმც გვაჩუქა მინა ღმერთმა, —
მტერმა ბევრჯერ გვაგულისა...
მოდით, შევსვათ ყველამ ერთად
სადღეგრძელო მამულისა!
ლაშა ნადარეიშვილი

ილიას სიბრძნე

„დედაკაცის“ „ქალამდე“ ჩამოსვლა და „მამაკაცის“
„ვაჟამდე“ — ცხენოსნის დაქვეითებაა, დიდის პატა-
რად გარდაქმნა, ვაჟს კიდევ მიეკერება სახელი კა-
ცისა, — „ვაჟკაციაო“, ქალს კი ჩამოეცალა სახელი და
ისაა, „ქალკაცი“ არ ითქმის.

ერთი „მაქვს“ სჯობს ათას „მქონდა“-ს

ვაჟკაცს ცრემლსა რად უძრახვენ! რკინაც სტყდება,
რომ სცემს გრდემლი... კაცთ და პირუტყვთ გასარჩე-
ვად ღმერთმა შექმნა მარტო ცრემლი.

ვაჟკაცად იმას არ ვაქებ, ვინცა სისხლისა მღვრელია,
ვაჟკაცად იგი მიქია, ვინაც უბედურთ მხსნელია.

ვინც ორი მარცვალი მოიყვანა იქ, საცა მანამდე მარ-
ტო ერთი მარცვალი მოდიოდა, იგი უდიდეს სამსახურს
უნწევს კაცობრობას.

ვინც კარგსა საქმეს არ მისდევს, იგი თავისა მტერია.

ვინც სიძულვილი არ იცის, მას სიყვარულიც არ ეცო-
დინება.

ვინრო მოედანი მარტო პატარა ფალანგის სარბიე-
ლია.

ვერა გაჰკურნოს მან მონის წყლული, ვინც მონებას
თვით ემორჩილება.

ვინც კაცად არ ვარგა, ის არც მამად ივარგებს, არც
დედად და არც სხვად რადმე; იმიტომ რომ, მამობა და
დედობა ადამიანური, მარტო შვილების გამრავლება
და ძუძუს წოვება არ არის...

ჩვენი საუჯა



დავით-გარეჯი. ლავრა. გარე კახეთი, კლდეში
ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი. მონასტერი VI
საუკუნის პირველ ნახევარში დაუარსებია „13 ასუ-
რელ მამათაგან“ — ერთ-ერთს — დავითს.

4 ←



ავტოპორტრეტი. მინიატურა

1671 წელს. ტექსტი მოთავსებულია ფერადითა და ოქრომელნით შემოხაზულ

ჩარჩოვებში, ჩასმულია ტყავგადაკრულ მუყაოს ყდაში 3. „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთა შორის უძველესი, გადნერილია 1646 წელს ლევან II დადიანის კარზე, იმერეთის მეფის მდივნის მამუკა თავაქარაშვილის მიერ; წიგნი ჩასმულია ტყავგადაკრულ ტვიფრულ ხის ყდაში“.

შალვა ამირანაშვილი ასევე ასახელებს სხვა ძვირფას ხელნაწერებს: „ბერთის ოთხთავი“, „ტბეთის ოთხთავი“, „მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა კრებული“, XII საუკუნის „წყაროსთავის ოთხთავი“, XII საუკუნის „გელათის ოთხთავი“, XII-XIII საუკუნეების „ვარძიის ოთხთავი“, მარტვილის მონასტრის „მოქვის ოთხთავი“.

დადიანის კარზე მამუკა თავაქარაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობის შედეგია მის მიერ გადნერილი „შაჰნამეს“ გაგრძელება ე.წ. „უთრუთიან საამიანის“ ქართული ვერსია; თავაქარაშვილმა ლევან II დადიანის დაკვეთით 1647 წელს გალექსა „ზააქიანი“; საწერ მასალად გამოიყენა ქალაქი; მხედრული ასოებით, ზომა: 31X20,5სმ.; ხელნაწერი შეიცავს 148 ფურცელს.

სად გადნერა მამუკა თავაქარაშ-



ავთანდილის ლოცვა. მინიატურა

ვილმა „ვეფხისტყაოსანი“? როგორც მეცნიერი ლევან მენაბდე წერს, სწორედ


„აქ მოდის ცნობილი კალიგრაფი მამუკა თავაქარაშვილი, რომელსაც 1646 წელს ზუგდიდში, მთავრის კარზე, გადაუნერია „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი თარიღიანი ნუსხა“. იმერეთის მეფის მდივანბეგი და კალიგრაფ-გადამწერი თავაქარაშვილი ნებით არ მოსულა დადიანის სასახლეში, მაგრამ ის პატივით მიიღეს და მიუხედავად ლევან II-ს ბრძანების თუ მოთხოვნისა, თავად იმერელი „ტყვე“ თანახმა იქნებოდა იმ დიდი საქმის შესასრულებლად, როგორც შოთა რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსნის“ გადნერა იყო.

მამუკა თავაქარაშვილის მიერ 1646 წელს ილუსტრირებული „ვეფხისტყაოსანი“ ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერია დღემდე შემორჩენილთა შორის; დადიანის კარზე გადნერილი თავაქარაშვილისეული „ვეფხისტყაოსანი“ დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ფაქრიძე ავსაჩიძე, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ფონდის მცველი

გვარის წარმოშობის საკითხისათვის

კვარაცხიდან თუ კვარანცხუდან?..



უნინარესად მივსალმები თითოეულ მოგვარეს...

ახლა კი, მსურს ერთ რამეზე გავამახვილო ჩემი ძვირფასი კვარაცხელიების ყურადღება: რატომღაც გავრცელებულია აზრი, რომ გვარის წარმომავლობა მომდინარეობს კვარაცხიდან... ლეგენდის თანახმად, გვარის წინაპარი თითქოს რაღაც მიზეზთა გამო ჩამოსულა სამეგრელოში და მის შთამომავალთ კვარაცხიელი წარმომობის გამო მიუღიათ ეს გვარი, რისი მართებულებაც ამკარად მოკლებულია დამაჯერებლობას... აბა, როგორ გინდა დაიჯერო, რომ ჩვენს კუთხეში ჩამოსული ხიზანის თუ დევნილის ნაგრამი ისე გამრავლდა — რამდენიმე საუკუნეში სამეგრელოში რაოდენობრივობით გახდა უპირველესი... უფრო მეტიც: სრულიად საქართველოს გვარებში მეექვსე ადგილზეც აღმოჩნდა... პოპულაციის თვალსაზრისით ყველაზე ოპტიმისტურ წარმოსახვითობაშიც არ ჩანს ეს რეალური... ზღაპარია ეს...
ბოლოს და ბოლოს რა გინდა, შენ თვითონ რა ვერსიას გვთავაზობო იკითხავს მავანი და ნამდვილად მართალიც იქნება... ჰოდა, აი რას ვფიქრობ: მეგრულ ენობრივ ფენომენს ეკუთვნის ასეთი სიტყვები — „კვარანცხელი“ და „კვარანცხუა“... შესაძლოა ვინმემ არ დამიჯეროს, ამიტომ მივუთითებ შესაბამის წყაროსაც, კერძოდ კი, სულკურთხეული დიდი ლექსიკოგრაფის ალიო ქობალიას „მეგრულ ლექსიკონს“... ამ ლექსიკონის 359-ე გვერდზე წერია: „კვარანცხელი — დაგრეხილი, გრეხილი ნაკეთობა ძვირფასი ლითონისა, გაქნილი... (იგივეა, რაც ნკუმონტილი).
კვარანცხუა — გრეხა, ხლართვა, ოქრომჭედლობა, ოქრომგრეხელობა“.
ხედავთ?.. როგორც ჩანს პირველი კვარაცხელიები ძვირფას ლითონზე მომუშავე ხელმარჯვე ოსტატები, ხელოსნები იყვნენ. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ დღევანდელი მარგალიტა უძველესი, მითათვამინდელი კოლხონას უშუალო მემკვიდრეა

— მაშინ, ამის რეალურობის ალბათობაც საკმაოდ დიდია... აბა, გავიხსენოთ ისტორიულ წყაროებში მითითებული „ოქრომრავალი კოლხეთი“ („ორქოპალური კოლხონა“)...
რაც შეეხება კვარაცხელიების მესაქონლეობას: ეტყობა, ამ ფრიად საპატიო და საამაყო საქმიანობას მაკვარანცხი კვარანცხელიები მოგვიანებით ოქრომრავალი კოლხეთის დაკნინების, ისტორიული ბედუკულმართობის შემდეგ შეუდგნენ...
და, ბოლოს: თავის დროზე ვიცოდი რა ან გარდაცვლილი მეცნიერი აბესალომ ტულუში მეგრული გვარების წარმომობაზე მუშაობდა — მოუწყვეი მას ამის თაობაზე და ვთხოვე ეს გაეთვალისწინებინა... მახსოვს, თუ როგორ აღფრთოვანდა აბესალომი... უბის ბლოკონტში ჩაინერა ყველაფერი და შუბლზეც მაკოცა...
ზურაბ კვარაცხელია
2016 წ.

მარადიული ტკივილი ჩვენი

ამონარიდი ნაზიმ ჰიქმეთის მემუარებიდან



ამ ბოლო დროს თურქეთში განვითარებულმა პროცესებმა ნაზიმ ჰიქმეთის გახმაურებული მემუარები გამახსენა... ბარემ იმასაც ვიტყვი — როცა ეს მახსენდება — ცუდად ვხდები და ვწყევლი იმ დღეს, როცა იანკებმა პიროსიმასა და ნაგასაკში ატომური ბომბები ჩამოაგდეს! წყველ-კრულვა დ შეჩვენება იმათაც, ვინც ე.წ. მეგრელთა საქმე შეითხნა!!!
ღიახ, ამ ორი დანაშაულებრივი მოვლენის გამო დავკარგეთ ისტორიული შანსი მიტაცებული კოლხურ-იბერიული ტე-

რიტორიების სამშობლოსთან შემოერთებისა და სასიცოცხლო არეალის მნიშვნელოვნად გაფართოებისა!!!
ახლა კი, გადახედეთ ამ ამონარიდს ნაზიმ ჰიქმეთის მემუარებიდან.
ზურაბ კვარაცხელია, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი. (11.09.2015)

საქართველოს ლაზისტანს, ტრაპეზუნდის ყოფილ იმპერიას, ტაო-კლარჯეთს, სხვა ქართულ მიწებს. თითქმის გულს დანა დამსვენს. მე „დავთანხმდი“, მაგრამ ბერია მიხვდა, რომ ჩემი „ჰო“ უფრო „არა“ იყო, ვინემ „ჰო“. ბერიამ მითხრა — უკვე შერჩეული გვეყავს საქ. კ.პ. ლაზისტანის საოლქო კომიტეტის მდივანი. — ქართველია? — ვკითხე მე. — ქართველია, ლაზია, — მიპასუხა ბერიამ. — შეიძლება ლაზისტანის საოლქო კომიტეტს ტრაპეზუნდის საოლქო კომიტეტი უწოდოთ, მაგრამ ეს დელატებია... მიმიყვანეს სტალინთან. — როგორ მოგეწონა ბერიას წინადადება? — მკითხა სტალინმა. — მე პირველ რიგში კომუნისტი ვარ, შემდეგ თურქი, გენერალისიმუსო სტალინი! — ვუპასუხე მე. — სხვა პასუხს არც ველოდი, — მითხრა სტალინმა, — ჩიზუხი გააბოლა და დაუშავა: ამის შესახებ ჯერჯერობით ვიცით მხოლოდ ჩვენ სამმა — მე, შენ და ბერიამ. მეოთხე ემ შენგან არ უნდა გაიგოს, სანამ ნებართვა არ იქნება... ეს ერთი, მეორე — ლაზისტანისა და სხვა ქართული მიწების დაბრუნების ინიციატივა უნდა გამოავლინოთ პირადად თქვენ, თურქეთის მომავალმა პრეზიდენტმა... ასეა საჭირო პოლიტიკური თვალსაზრისით...“

თურქეთის ქართველებთან
ქმეო ლაზეხო, შაგუნო, მესხეხო, აჭარელნო და არტანუჯელნო, მოულოდნელად თქვენთან შეხვედრა ლამის თვალდებდა არ დაფუჯერო. შუბლზე გაყრიათ ოშკის ბზარებად ნაიარები ბედის, შავბედის... დადუმებულხარტ ტბეთის ზარივით, დაღონებულხარტ, როგორც შატბერდი. აქ, ამ მიწაში სძინავთ წინაპრებს, მათი ძვლებია აქ ჩამარხული, ხოლო თვალეები თავს დაგვბრწყინავენ, როგორც სანთლები ძველი ხახულის. გულში ქართული სისხლი გიღელავთ, სულშიც ქართველის მზე გაქვთ ჩაფანტული
წენემ ქართული ნანა გიმღერათ, წენემ გასწავლათ ენა ქართული. კურთხეულ იყოს დედა ქართველი, თქვენ რომ ეძახით წენეს ალერსით, მისი ჭაღარა თმების ნათელი ნამუსის ქუდად გიდგათ თვალეებში. ძველ სალოცავებს თავს დასტრიალებთ, შერჩეთ ჩუქურთმა, შერჩეთ ნახატი, რას ვიფიქრებდით: მაჰმადიანნი რომ ქრისტეს ტაძრებს შეგვინახავდით.

თუმცა რას ვამბობო... ძველი ამბავი რად გამახსენდა, გთხოვთ მომიტყევოთ... ისე მცირეა ჩვენი მთა-ბარი, ქრისტეც, მაჰმადიც ვერ დაეტყვა? ჩვენ ღმერთი ბევრი გამოგვიცვლია, ღმერთი კეთილი, ღმერთი მრისხანე, ყველა მათგანი კრძალვის ღირსია, დაგვრჩა მათი მზის თითო მისხალიც. მაგრამ სხვა არის სული ქართული, ის ყველა ღმერთზე უფრო მძლავრია, უკვდავ მირონით ხარ განათლული თუ შუბლზე მისი შუქი გავიღია. მაშ გვწამდეს ჩვენი ღმერთი საერთო, დედა — სამშობლო —
ღმერთი უცვლელი... მის სამსხვერპლოზე ცეცხლად დავენთოთ და დავიფერფლოთ მისთვის გულწრფელად. მაშ, გაუმარჯოს ამ ჩვენს შეხვედრას, ერთმანეთი რომ აღარ გვეთმობა, ეს გაუმარჯოს ტანჯვით შენახულ, მალვით შენახულ თქვენს ქართველობას!
იოსებ ნონაშვილი, თურქეთი, სოფელი მაჭახელა, 1968 წ.

დაიცვას თავისი ხალხის გმირული ტრადიციები, თავისი ენა.

საშუალო სკოლებში საქართველოს ისტორიის შესასწავლად დათმობილია ძალიან მცირე დრო 1 საათი კვირაში მეშვიდე კლასელებთან, შემდეგ კლასებს კი 10-10 საათი წელიწადში. ეს მინიმუმის შესასწავლა არ კმარა. ამიტომაც ორჯონიკიძის საშუალო სკოლის კომკავშირელებმა გადაწყვიტეს შეგვექმნა „საქართველოს ისტორიის შემსწავლელი კლუბი“. სკოლის დირექციამ და საქ. ალკუ წაღწევის რაიკომმა ყოველწლიურად შეგვიწყვეს ხელი. შეუძლებელია არ აღინიშნოს, ჩემი საყვარელი მასწავლებლის, დოქტორ ლევან სანიკიძის დახმარება, რომელმაც გვირჩია, შესაძლებლობის ფარგლებში საქართველოს ისტორიასთან ერთად შეგვესწავლა ძველი მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოთა ისტორია.

კლუბი ჩამოყალიბდა 1967 წლის 10 ოქტომბერს, შევიმუშავეთ სამუშაო გეგმა. ყოველი საკითხის მსმენელებთან გამოტანამდე, ვადგენთ გეგმას, ვარჩევთ სათანადო ლიტერატურას.

გვიძნელებოდა საჭირო ლიტერატურის პოვნა, მაგალითად, მოსწავლე ე. ციმიტიამ მოხსენების — „პონტოს სამეფოს“ დამუშავების დროს გამოიყენა ლევან სანიკიძის „პონტოს სამეფო“, მ. გოზაღლიშვილის „მიტრიდატე პონტოელი“, ვ. გუჩუას „გადაცხედოთ ნარსუსს“, ა. ნურეთლის „ძველი აღმოსავლეთის ისტორია“, პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიები“ და სხვა. ასეთი წიგნები იშვიათად იშოვნება ჩვენი და მეზობელი რაიონების ბიბლიოთეკებში, მაგრამ ჩვენ მათ ვინერთ თბილისისა და ქუთაისის ბიბლიოთეკებიდან.

დამუშავებულ თემას წინააღმდეგობა ვხვალავთ, ვავსებთ, ვასწორებთ და მხოლოდ ამის შემდეგ გამოგვაქვს კლუბის მეცადინეობაზე.

კლუბის წევრები გულმოდგინედ ეკიდებიან თემის დამუშავების საქმეს, ღრმად სწავლობენ საკითხს, მოჰყავთ ციტატები პირველწყაროებიდან ან ისეთი ფუნდამენტალური ნაწარმოებებიდან, რომლებიც პირველი წყაროების საფუძველზე შექმნილი. მაგალითად, მოსწავლე გ. ქარდავამ, მოხსენებაში „ხეთების კულტურა და მისი გავლენა ანტიკური ხანის სახელმწიფოებზე“ მოიყვანა ადგილები ძველი ალექსანდრიისა და სპარტის სახეობების საკმეს, ღრმად სწავლობენ საკითხს, მოჰყავთ ციტატები პირველწყაროებიდან ან ისეთი ფუნდამენტალური ნაწარმოებებიდან, რომლებიც პირველი წყაროების საფუძველზე შექმნილი. მაგალითად, მოსწავლე გ. ქარდავამ, მოხსენებაში „ხეთების კულტურა და მისი გავლენა ანტიკური ხანის სახელმწიფოებზე“ მოიყვანა ადგილები ძველი ალექსანდრიისა და სპარტის სახეობების საკმეს.

კლუბის მეცადინეობა ყოველთვის საინტერესოა, მსმენელები სვამენ შეკითხვებს, გულისხმიერად ეკიდებიან ყოველ წერილსა და საკითხს. ამიტომ მეცადინეობა ყოველთვის საინტერესოა და ხშირად დიდხანს ვგრძობდებით, მაგრამ დადებითი მიუხედავად მსმენელები უარს ამბობენ მის შეწყვეტაზე და შემდეგ გაგრძელებაზე.

მოსწავლეები გრძნობენ, რომ ყველაფერი ეს მათი სიყვარულით, მათი პატრიოტული აღზრდისათვის კეთდება და თვითონაც ენთუზიაზმით იმსჯელებენ.

1968 წლის 6 აპრილს ორჯონიკიძის საშუალო სკოლას პირველად კომკავშირულ ორგანიზაციასთან არსებულ „საქართველოს ისტორიის შემსწავლელი კლუბის“ წევრებმა მოვანწყვეთ ექსკურსია ზუგდიდის მუზეუმში, ვნახეთ ჩვენი კუთხისა და სხვა ისტორიული მასალები. შემდეგ გავსწავლეთ რუხის ციხესიკენ და ბოლოს მოვიარეთ ენგურის მშენებლობის ობიექტები. ნარსუსისა და დღევანდელი ყოფის სურათების შედარებამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა წრის მსმენელებში.

მომავალში კიდევ უფრო გავაფართოვებთ საქმიანობას. კლუბთან ჩამოყალიბდება სექტორები. ერთ-ერთი სექტორი შეისწავლის ჩვენი რაიონის ისტორიას. გათვალისწინებული გვაქვს კავშირის დამყარება რომელიმე ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის კათედრასთან.

არღამ ქაძაშია
1968 წ.

* * *

გავცანი არღამ ქაძაშიას წერილებს, მათი გამოქვეყნება, სათანადო რედაქციური ცვლილებებისა და შემოკლების შემდეგ, სასურველად მიმართა.

შოთა მესხია,
პროფესორი.
24.XI. 1970 წ.

ისტორია

საიდან იცოდა ბატონმა ზვიადმა ანკარა წყარო ონძილეს შესახებ!..



1993 წლის სექტემბერში საქართველოს დევნილი, კანონიერი პრეზიდენტი სამშობლოში ბრუნდება. დასავლეთ საქართველოში იწყება კონსტიტუციური, ლეგიტიმური ხელისუფლების აღდგენის პროცესი, მაგრამ ზვიად გამსახურდია შევარდნაძის უკანონო რეჟიმის მიერ კვლავაც იდევნება... იგი იძულებული ხდება თავი შეაფაროს სამეგრელოს რეგიონს, მის სოფლებს...

ქართულ საზოგადოებაში ჯერაც მრავლადაა პასუხგაუცემელი კითხვები, მაგრამ მთავარი კითხვა, ვფიქრობთ, დღესაც არ შეიძლება გავსახურდია მოკლულია შევარდნაძის სპეციალური დავალებით! ამ საქმეში ასევე გარეულნი არიან: შინაგან საქმეთა მინისტრი — შოთა კვიციანი, გენერალი ვაჟა გულუა, უშიშროების მინისტრის მოადგილე ავთანდილ იოსელიანი, პრემიერ-მინისტრი — ავთანდილ მარგარიანი.

ნოემბერში ფოთში ჩამოდის საზღვაო ფლოტის ადმირალი ე. ბალიტიანი, რომელსაც ხვდებიან ავთანდილ მარგარიანი და ლეონარდო დევედარიანი. ისინი შევარდნაძის დაკვეთას ასრულებენ. მარგარიანი, ზ. გამსახურდიას სალიკვიაციოდ სხვადასხვა თანხა სახელდება (დანყებული 50 000-დან ნახევარ მილიონამდე (\$)), მაგრამ აქ მთავარია, ის რომ ეს თანხა ა. მარგარიანმა გაამართლა შევარდნაძის დავალებით, რადგან იმ დროისათვის ფინანსური სისტემა სწორედ რომ ა. მარგარიანს ებარა...

ე. ბალიტიანი ფოთში 5000-მდე ცოცხალი ძალა და დიდძალი ტექნიკა შეიყვანა. ზუგდიდში „ტაქსოპარკის“ ტერიტორიაზე დისლოცირებული იყო სპეცრაზმი „აღფა“, რომელსაც ვინმე პოლკოვნიკი ბასიკაშვილი მეთაურობდა, ასევე რუსუ-

ლი სპეცრაზმი „ლეტუჩი მიშ“-ი... ესენი ცენტრიდან იყვნენ გადმოსროლილინი პრეზიდენტის განადგურების ბრძანების შესასრულებლად...

ასეთ უშიშროების ვითარებაში, პრეზიდენტი ზ. გამსახურდია, 1993 წლის 12-22 დეკემბერს, მარტვილში წაღწევის რაიონის სოფელ ობუჯის ჯაღირის უბანში, ანზორ მებონიას ოჯახში...

გათავაზობთ ინტერვიუს ანზორ მებონიას მძისპვილთან — გოდერძი მებონიასთან:

— ჩვენი სოფლის უბანი ჯაღირა მაღალმთიანია. დღევანდელ დღესაც მახსოვს ის დღე — 12 დეკემბერი, როდესაც ბატონი პრეზიდენტი სოფელში დაელოდა, ღამით, ბიძაჩემის სახლში მოვიყვანეთ. ბიცოლაჩემს — გონა მოლაშვილს სუფრა ვაგაშალია და სტუმრებს ელოდა...

— გოდერძი, არ შემოძლია არ გკითხო პრეზიდენტის ჯანმრთელობის შესახებ, ვინაიდან იმდენი ჭორ-მართალია აგორებულში, რომ სინამდვილეს ძნელად თუ გაარკვევს კაცი.

— ქვეყნის მტრებმა ზვიადს ხმები დაუყარეს, თითქოს პრეზიდენტი მძიმედ იყო ავად, ძლივს გადაადგილდებოდა და არაფრის თავი არ ჰქონდა. ამ სიტუაციას გასაფანტად მოვიყვანე ერთ რეალურ ფაქტს, რომელიც საკუთარი თვალის ვიხილე.

— რომელ ფაქტზე საუბარი?

— როდესაც, გვიან ღამით, პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირები შემოვიყვანეთ სამესხის უბანში, მოკლე გზით, საიმედო ადგილზე გაყვანის მიზნით, სასაფლაოსთან მავთულბადე გაეხედინა. ზვიადმა უცბად ცხენი შეაყვანა, ჩამოქვეითდა და უკმაყოფილოდ მოგვმართა: თქვე კაიშვილებო, აქ ალბათ გლეხკაცის ყანაა და გარდევულ მავთულბადეს ასე რომ ტოვებთ, პატრონი

რას იტყვისო?... ბიჭებს შერცხვით და მაშინვე გამოასწორებს თავიანთი შეცდომა. ზვიადმა მანამდე ფეხი არ მოიცივალა ადგილიდან, სანამ არ დაბრუნდა გარდევული მავთულბადის აღდგენაში, მერე კვლავ შეჯდა ცხენზე და გზა განაგრძო. როგორ ფიქრობთ, იგი მძიმე ავადმყოფი რომ ყოფილიყო, როგორც მაკანანი ამტკიცებდნენ, შეძლებდა დამოუკიდებლად ცხენიდან ჩამოქვითვას ან პირიქით, ცხენზე შეჯდომას?

— ვინ იყვნენ პრეზიდენტის თანმხლები პირები?

— პრეზიდენტს ახლდნენ: პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი, დაცვის უფროსი რობინზონ (რობერტ) მარგველაძე, დაცვის წევრები; შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძე, ზაზა ბურჯანაძე, გოჩა კეცელაძე, ნალენჯინის პრეფექტი ზურაბ გუჩუა და ჯიხაშკარელი გვარდიელი მამრიკო ზარანდია.

— შეიარაღებაში რა ჰქონდათ დაცვის ბიჭებს?

— რამდენადაც ვიცო, ავტომატური იარაღი, ტყვიანაპალი, „ნაღმტყორცნელები“, ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებები და „მუხები“. დაცვის უფროსს „რაიაც“ გააჩნდა.

— გოდერძი, პრეზიდენტის ჩაცმულობაზეც სხვადასხვაანაირად ჰყვებიან... შენ როგორ გახსოვს, რა ეცვა პრეზიდენტს, როგორ გამოიყურებოდა იგი?

— პრეზიდენტს შარვალი-კოსტიუმი ეცვა, კოსტიუმი ნაცრისფერი იყო, მთვითონ ნაბღით იყო შემოსილი, იყო ნევრ-მოშვებული, მხრებში ცოტათი მოხრილი, მაგრამ დაუძლეველად ნამდვილად არ გამოიყურებოდა, პირიქით, საკმაოდ მხნედ იყო.

— ბიძაშენის ოჯახში პრეზიდენტმა ათი დღე იმარტვილა...

— ღია იყო მისი მარტვილობის 10 დღე ჯაღირში. ჩვენი ეზოების უკანა მხარეს ფრიალო კლდეები. მოწმენდილი ამინდის დროს აქედან კოლხეთის დაბლობის ულამაზესი ხედი იშლება... ბიძაჩემმა შემდგომ გაიხსენა, რომ ერთ საღამოს პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი გადაჰყურებდნენ დაბლობს და ტკებოდნენ ბუნების მშვენიერებით...

დღილი ყველანი კითხულობდნენ ფსალმუნებს, განსაკუთრებით 90-ე ფსალმუნს... ბეზიაჩემი — ბაბუცა ხარჩილაგა დილით ადრე დგებოდა და პრეზიდენტისათვის საქმელი თვითონ ამზადებდა. ოღონდ ეგაა, პრეზიდენტი ძალიან ცოტას ჭამდა. საღამოს ბებია ხშირად შედიოდა მის ოთახში. მეგრულად საუბრობდნენ ორივენი...

— როდის გადაიყვანეს პრეზიდენტი ჯიხაშკარში და რატომ?

— გადაიყვანეს 22 დეკემბერს, გვიან ღამით. მიზეზი ის იყო, რომ ვიღაცას უთქვამს, ზვიადი ანზორ მებონიას ოჯახში უნდა იყოსო. ამიტომ საჭირო გახდა მისი გადაყვანა უფრო უსაფრთხოდ ადგილას. გამომშვიდობებისას ბეზიაჩემი ატირდა: რატომ მოხდა ასე, რატომ გადაგმეტყენო მოლაღატეები უპირველეს ერისკაცს.

ტოპონიმიკური მასალის შეგროვებას ჩვენს ხანაში, როცა ძალიან სწრაფად იშლება ყოველგვარი ძველის ნაკვალევი, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ტოპონიმიკაში ხშირ შემთხვევაში ასახულია ნარსუსის (უძველესი ხანისაც კი) შესანიშნავი ნაკვალევი. მათი ნაშლა, მათი დაკარგვა არსებითად ნიშნავს დაკარგვას ჩვენი ნარსუსის რომელიმე საყურადღებო მომენტისა.

ამიტომ ყოველთვის მისასალმებელია წერილი, რომელიც ასეთი მასალის შესწავლისკენ მოგვიწოდებს და აგრეთვე გვაფრთხილებს — ყურადღება მივაქციოთ მათ.

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ყველა მასალას (თქმულებას, ლეგენდას), რაც კი ხალხს შეუნახავს ამა თუ იმ მოვლენასთან თუ სახელწოდებასთან დაკავშირებით.

ძაძამიას წერილს სწორედ ასეთი სახე უნდა მიეცეს — ის უნდა იყოს ერთგვარი მონოგრაფია ჩვენი კუთხის ისტორიულ-გეოგრაფიული მასალის შეგროვებისა და შესწავლისკენ.

ამიტომ მიმართა მათი დაბეჭდვა სასურველად.

შოთა მესხია,
პროფესორი.
24.XI. 1970 წ.

ანზორმა შეუძახა: კარგი რა, სირცხვილია, დედაჩემო, პრეზიდენტს არაფერი დაუშავდებაო!..

— გოდერძი, ერთხელ კიდევ გვიხსენოთ, თუ როგორ იცნო ზვიადმა პატარა წყარო, რომელიც კლდის ძირიდან მომდინარეობს და იქვე ბონდის ხიდან უერთდება ქანისწყალს. მგონი, პრეზიდენტმა წყაროს სახელიც კი თქვა.

— ღამის სამი საათი სრულდებოდა. დაღმართს ფრთხილად მივყუებოდით, წინ ანზორი მიდიოდა. შეიარაღებული დაცვა გვერდზე ახლდა ზვიადს. მეც მათთან ახლოს მოვიდოდი ავტომატით ხელში. ღრუბლიანი ღამე იყო. მთვარე ზოგჯერ გამოვიდოდა ღრუბლებიდან და სუსტად გაანათებდა მოწყენილ არემარეს...

უცბად პრეზიდენტმა ცხენი შეაჩერა და გაირინდა, ამკარა იყო რაღაცას აყურადებდა. უნებურად ჩვენც შეჩერდით... ყველაზე პირველად სიტუაციიდან ანზორი გამოერკვა და თავისი ჩვეული გულლიაობით ზვიადს მიმართა: ნუ გემიზიათ, ბატონო პრეზიდენტო, აქ თითოეული ქვა და ღორღიც მშობლიურია, აქ ვერავინ ვერაფერს გაბედავს, ვერაფერს დაგვიშავებენო!..

ზვიადმა კი მოულოდნელად საოცარი, თითქმის დაუჯერებელი რამ გვითხრა: — წყარო, რომელიც ამ კლდის ძირიდან მორაკრავებს, იცოდეთ, ონძილეა! — და ხელი კლდისაკენ გაიშვირა.

ყველა გაოცდა, საიდან იცოდა ზვიადმა წყაროს სახელი? განსაკუთრებით ჩვენ გამოტყუებული მივჩერებოდით პრეზიდენტს და ხმას ვერ ვიძღვებდით. ვიღაცის შეკითხვამ გამოგაფხვიზა:

— ეს საიდან იცით, ბატონო ზვიად, ამ ადგილებში ხომ არა ხარ ნამყოფი?

პრეზიდენტს სახეზე ღიმილია გადაურბინა:

— საქმე იმაშია, რომ წყარო ონძილე, საქართველოს წითელ ნიღმიას შეტანილი, — აგვისხნა ზვიადმა.

მხოლოდ მაშინლა გავგახსენდა, რომ ჩვენ წინ იდგა არა მარტო ქვეყნის პრეზიდენტი, ერის კაცი და მამულის პატრიოტი, არამედ ყოველმხრივ განსწავლული პიროვნება, უზატი მეცნიერი, მწერალი, შესანიშნავი პოეტი და მთარგმნელი — ზვიად გამსახურდია!..

... ქანისწყალთან ცხენები შევაჩერეთ, გაღმა ნაპირზე პრეზიდენტს ელოდებოდა თავისი „ვილისით“ ჯიხაშკარელთა ლიდერი, ბატალიონ „ჯიხას“ მეთაური ვახტანგ ზარანდია, რომელსაც ზვიადი უსაფრთხოდ უნდა მიეყვანა ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახში...

დამშვიდობებისას ზვიადმა სათითაოდ გადაგვკოცა, გაგვახსენა და თანმხლებთან ერთად მეორე ნაპირისაკენ გასწავლა... დიდხანს ვიდექით უხმოდ, ხმაური თანდათან მიწყდა და ყველაფერი ღამის სიბნელეში გაუჩინარდა...

ინტერვიუს უძღვებოდა
ვალერი კაძაშია.
31.03.2016 წ.

ნარსულის სკვდა

ქიანის ხატი გვარაძე!



რუსუდან, ქიქიკო და ბერდი ურდიები

4 წლის ვიყავი ობუჯში რომ ჩამოიყვანეს და იმ დღიდანვე შევესისხლბორცე ჩემთვის დედამისის ზურგზე ყველაზე ძვირფას და მაღლიან ალაგს.

ობუჯი ჩემთვის ყველაფერია. აქ გავიზარდე და ყველაზე საუკეთესო წლები — ჩემი ბავშვობა და ახალგაზრდობა აქ გამოიტარე. როცა წაღვინებდას გამოვცდებდი და ობუჯი დაინყებდა, გული სხვანაირად ამიფანცქალდებდა და სიტბოთი მეცხება. აქ ყველაფერი იმდენად მშობლიურია, დრო-ჟამში რამეთუ იცვრება, პირიქით, რაც დრო გადის, მით უფრო მეტაქტება სიყვარული ყველაზე და ყველაფრის მიმართ.

ქართველებისათვის ავბედით 90-იან წლებში ოჯახთან ერთად სამშობლოს გარეთ მომიწია ცხოვრებამ. სასოვნარაგეთ, რაინდ კარგად იყო, მაინც ძნელია ნოსტალგიით ცხოვრება, მით უმეტეს, ქართველისათვის. უცხო ქვეყანაში ჩემი ლექსების მუხამბოლოდ სამშობლო იყო. როცა დავბრუნდი და დავადგი ფეხი ჩემს მაღლიან ობუჯის მიწას, ჩემი გრძობები ლექსად ამეკინდა...

... მე ნოსტალგიით უკვე არ ვცხოვრობ, მშობლიურ მიწის ობიექტით ვთბები, აქ ყველა ქვას და ხავსიან ხესაც ფეხის ძარღვებში შემოვფეხები... ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი რამ შეიცვალა. გულდასაწყვეტია, ბინდისფერია ჩემ დროს კოპონია სოფლის სილაბაზე, დღეს ის შენობები, სადაც სიცოცხლე ჩქეფდა და დულდა, ნანგრევებად ქცეულა ან სულაც გამქრალა. ერთადერთი რაც ახარებს თვალს, გულს და სულს ამშვიდებს ახალი ეკლესიაა, რომელიც ისე ლამაზად შერწყმია ობუჯის ცენტრში თავის ძირძველ ადგილსა და ახალი არააზარსა. სტუმართმოყვარე, გულთბილი და მოსიყვარულე უკვე 55 წლისა ვარ, 3 შვილიშვილის ბებიან, თმაც გამიჭარბა, მაგრამ მოგონებები, რაც მაკავშირებს ჩემს სოფელთან, ჩემს საყვარელ ადამიანებთან არ ბერდება და ჩემი ასაკის მატების მიუხედავად მარად ახალგაზრდა დამყვება თან.

წლის ობუჯის სკოლა 120 წლის ხდება... მინდა გავიხსენო ჩემი სკოლა — სოფლის ბეჭობზე წამომართული, ორსართულიანი, მწვანეში ჩაფლული, დღეს გადმოგყურებს დანგრეულ-გაპარტახებული და უთქმელი, — თაობათა ცხოვრების მემატანე.

„ბედნიერია ერი, რომელიც თავის წარსულს არ ივიწყებს.“ — მეც ერთ-ერთი რიგითი ობუჯელი ბედნიერი ვარ, რომ არიან სოფელში ისეთი გულისხმიერი ადამიანები მანანა კაკაჩასა და მისი თანამოაზრეების სახით, რომლებიც მომავალ თაობებს უტოვებენ ნამდვილ საგანძურს, ამ წიგნის სახით.

ჩემი სკოლა — ეს არის ჩემი ბავშვობის ნატურფალე. ეს ჩემთვის თითქმის მეორე სახლი იყო. რადგან ჩემი მშობლები (გუგუშა შენგელაია და ქიქიკო ურდიები) ამ სკოლის პედაგოგები იყვნენ, მაშინ ბალი არ იყო და 4 წლიდან სკოლაში დავყავდით. თითქმის სკოლაში გავიზარდე, სკოლის დირექტორი, სადაც ყველა მასწავლებელი იკრიბებოდა, ჩემთვის ყველაზე საყვარელი ადგილი იყო. ყველა მესიყვარულებოდა. ახლაც მახსოვს ლექსის სტროფები, სკამზე შემსვამდნენ და ვტიტინებდი:

ცამბა-ცუმბა ცამპარი, გზაზე ვნახე ლამპარი. დავდგამ ტახტის ბოლოსა, გავანათებ სოროსა...
უფრო მეტად მიწევდა მანანა კაკაჩას კლასელებთან მეგობრობა, რადგან დედაჩემი მაშინ ამ კლასის დამრიგებელი იყო. დღემდე ყველა მახსოვს, მათთან სურათზეც ვდგავარ. უფროსკლასელები ჩემი ძმაკაცები და დაქალები იყვნენ. სკოლის საყვარელი „შვილობილი“ ვიყავი. სანამ გაკვეთილები მიმდინარეობდა ყველაზე მეტად დროს ვატარებდი პიონერთა ოთახში, სადაც იმყოფებოდა ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანი, უფროსი პიონერხელმძღვანელი შურა (ლუარა) სონგულია. მაშინ ოჯახი არ ჰყავდა და მთელი დედობრივი მზრუნველობა ჩემზე ჰქონდა გადმოტანილი. ძალიან უყვარდი და მეც, რა თქმა უნდა, მიყვარდა. ეს მასთან ერთად გადაღებულ ფოტოებზეც ნათლად ჩანს. ასე სიყვარულით შევედი პირველ კლასში. ჩემი დანყვებითი კლასის მასწავლებელი და დამრიგებელი დედაჩემი იყო. მამაჩემი კი მაღალ კლასებში მასწავლიდა ალგებრას, ხაზვას და ასტრონომიას.

რაც ვინებოვარ სკოლაში მდებარე მერე უფრო ორმაგად მიხოვდნენ ჩემი მშობლები ყველაფერს, რადგან მასწავლებლების შვილი ვიყავი, არავითარი შეღავათები არაფერზე...
სკოლაში რაც დასამახსოვრებელი და თვალისაცემი იყო მოსწავლეთა სიმრავლე. მაშინ კლასში 40 მოსწავლე იყო და იყოფოდა 4 და 2 კლასებად. იყო ერთი ჟრი-ამული, რასაც დღემდე სკოლაზე ვერ იტყვი. ახლა კლასში 5-6 მოსწავლეა.

ჩემი სკოლის დამთავრებამდე უცვლელი დირექტორი იყო ჟორჟი კაკაჩია, საყვარელი პიროვნება, ინტელიგენტი ადამიანი. მასწავლიდა ისტორიას, სასწავლო ნაწილის გამგე ჟორა მეტონია — ფინკას. შესვენებზე ფრენბურთს ვთამაშობდით მასწავლებლები და მოსწავლენი. ჟორა მასწავლებელს ძალიან უყვარდა ფრენბურთის თამაში, იუმორიც ჰქონდა სიმკაცრესთან ერთად, — თავისებური. გვანჯი კაკაჩია — გეოგრაფიას, რამდენჯერ მიფიქრია ამ ადამიანზე, როგორ ასწრებდა სამეცნიერო ფეხით, მერე ჯადოსნის სკოლაში ჩაატარებდა გაკვეთილს და ჩვენთანაც მოასწრებდა. თავის ცხოვრებაში ერთხელ მოგვიყვა მცირე ეპიზოდი საბამულო ომზე (თვითონ იყო ომის მონაწილე). როგორ მახსოვს 9 მაისის ობუჯში შინაომის დასრულების გახსნაზე საკუთარი ლექსი წავეყვინე, რომელიც გვანჯი მასწავლებელზე დავერე, ომში მის მიერ გადატანილ ცხოვრებაზე. არ იცოდა, სიურპრიზი იყო... ახლაც თვალწინ მიდგას მისი გაოცებული სახე, ბოლოს ატირდა, თვალის წრემლით ჰქონდა სავსე, ჩამეხუტა და მაღლობა გადამიხდა.

სკოლიდან ცხოვრების გზაზე გაგვაცილა საყვარელი კლასის დამრიგებელმა მელიკო კაკაჩიამ.
გერმანულს მასწავლიდა ნარდიშა კაკაჩია, თავის საგნის მცოდნე, უაღრესად ნიჭიერი პიროვნება. დღესაც მახსოვს ის ლექსები, რომელიც გვასწავლა. ქიმიას — სათნო ჭურჭა მასწავლებელი, მათემატიკას — ალიონა საჯაია, სამართალმცოდნეობას — თამარ გოგეშვილი, რომელიც ამავე დროს მუშაობდა სკოლის ბიბლიოთეკაშიც, — როგორ მიყვარდა იქ ყოფნა. ძალიან მიყვარდა სამხედრო და ფიზკულტურის გაკვეთილები. გვასწავლიდა ვარლამ სონგულია, უაღრესად მომთხროვენი და დისციპლინირებული ადამიანი. ბაზაც იყო მაშინ სკოლაში მოწყობილი, იყო ფრენბურთის, ფეხბურთის მოედნები, ხარხები, სიგარეტები, სიმალზე სახტობი, ჭადრაკის სეციები და ა.შ. თუ ცოტას ნიჭიანად ვეხმობი, აბა, *По пластунский*-ო, მისი საყვარელი ფრაზა იყო.

კაკო კონჯარია ისტორიას გვასწავლიდა. თინა შენგელია — რუსულ ენასა და ლიტერატურას. მისი გაკვეთილები დისციპლინა მეფობდა, ძალიან მომთხროვნი და თავისი საგნის მცოდნე იყო. ლუცია შენგელია ლიტერატურას გვასწავლიდა, გოგოლა სონგულია — ბიოლოგიას, შრომის საგანს უპატივსენი პიროვნება ვალერიანე მესხია.

ინტელიგენციის ის პლედა თითქმის აღარ არის, ერთეულები დარჩა, გულდსანყვებია ძალიან, მაგრამ დრო არავის არ ინდობს.
10 წლის განმავლობაში ერთ მერზე ვიჯექით მე და ბელა კაკაჩია. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ერთმანეთისთვის რამე

გვეწყინებინა, ისე დავამთავრეთ სკოლა. ახლა ბებოები ვართ და ისევე ვმეგობრობთ.

როგორ გვიყვარდა კვირაში ერთხელ კინოს კოლექტიური დასწრება მასწავლებლებთან ერთად. სოფლის ცენტრში იყო ახალი კინოს დარბაზი და კვირაში ერთხელ ჩვენთვის ფილმები გადმოდა. მაშინ სოფელს ძალიან გამოცდილი კინომექანიკოსი გულიკო კაკაჩია ჰყავდა (ახლა ეს კლუბი გაპარტახებულია), კინო საერთოდ არ გადიოდა. თბილისიდან ჩამოდიოდნენ ინსტრუმენტალური ანსამბლები, თეატრები, ცირკი. განსაკუთრებით ვმხიარულობდი როცა საყვარელი ლილიპუტები გვესტუმრებოდნენ. დადიოდა სახალხო მთქმელი კვარაცხელია, ყველა მასწავლებელს ექსპრომტად გაღეჟსავდა და გვაშხიარულებდა.

ამის გარდა სკოლის მოსწავლეთა ძალეობით ეწყობოდა კონცერტები, ცეკვის, სიმღერის, პოეზიის საღამოები, თეატრალური წარმოდგენები. სკოლის კულტ-მასობრივი ღონისძიებების ორგანიზატორი იყო პიონერხელმძღვანელი შურა (ლუარა) სონგულია. ძალიან შრომისმოყვარე, პრინციპული და თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი. რაიონში გამორჩეული, ძლიერი ხელმძღვანელი იყო. ეწყობოდა რაზმეულის შეკრებები, ხაზის ჩატარება ძალიან საპასუხისმგებლო იყო, თავისი წესები ჰქონდა, პიონერთა ასაკში ვიყავი რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე. ეწყობოდა კონკურსები რაზმების შორის, ვაქცევდით განხილვებს, რომლებიც პიონერთა ოთახში გვერდიგვედ გაიკვრებოდა. მაშინ სკოლაში ჩვენზე უფროსკლასელი მამუკა კაკაჩია ხატავდა კარგად და როცა ის გვეხმარებოდა გავოქმებაში, ყოველთვის გამარჯვება გარანტირებული გვექონდა. ახლაც კარგად ხატავს, კარგი იქნებოდა სკოლაში მოაწყოს ამ ნიჭიერი თვითნასწავლი მხატვრის გამოვლენა. იგი ნამდვილი ტალანტი და ჩვენი სკოლის კულტდამთავრებულია.

მე-7 კლასში ვიყავი, რაიონიდან რომ მოვიდა ცნობა მხარეთმცოდნეობის კონკურსში მონაწილეობის მიღების შესახებ. მე უნდა დამეწერა „ნოჯიხურის“ ისტორია, მერე თქმა მანანა კაკაჩიას უნდა. ის მაშინ მე-10 კლასში იყო. რაიონში ერთმა მოსწავლემ გამიმარჯვა. ხუთიდან ორი ობუჯიდან — მე და მანანა ვიყავი. გამარჯვებულთათვის შედგა საინტერესო ექსკურსია მარშრუტით: თბილისი-სევასტოპოლი-ხერსონი-კიევი-ოდესა-თბილისი. ხუთივე გამარჯვებულს წაღვინებელი მათემატიკოსი კვარაცხელია მოგვყვებოდა. ძალიან საინტერესო და ემოციური იყო ის, რომ დიდი გაღვიძებულმა ფანჯრიდან შევნიშნე მატარებლის ვაგონები ზღვაში მიცურავდა, ქერჩის სრუტეზე ბორანს გადაყვავდით...

ვიყავით კიევი, დავათვალა ერთ ქალაქში, შევხვდით კიევილი თანატოლებს, ვიყავით ხერსონში, სევასტოპოლში, შთამბეჭდავი იყო სევასტოპოლის პანორამა, მძიმე იყო ოდესის კატაკომბების ხილვა. შევცეკვანეს საწინააღმდეგო ხელში გვიარაბდნენ. ომის ქარცეცხლიან დღეებში აქ თავს აფარებდა მოსახლეობა, იყო უამრავი ლაბირინთი. ყველაფრის წარმოდგენა ჩვენში შიშსაც კი იტყვდა, წარმოსახვით ვიგრძენით, თუ რა მძიმე დღეები გადაუტარებია ჩვენს მეგობრებს. შემდეგ დიდების მუზეუმი დავათვალიერეთ.

დღესაც ვინახავ სურათს, სადაც ყველანი მატარებელთან ვდგავართ და მათ შორის ყველაზე პატარა მე ვარ. ახლა მინდა მოგიხსენოთ იმ თემაზე, რომლითაც კონკურსში გავიმარჯვე.

„ნოჯიხურის“ ისტორია უნდა დამეწერა. თემა ძალიან საპასუხისმგებლო იყო, მხატვრულ გაფორმებასთან ერთად თემა ისტორიულ მოვლენებზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული. ეს კი მე-7 კლასელი მოსწავლისათვის არც თუ იოლი იყო. ჩემმა საყვარელმა პიონერხელმძღვანელმა მირჩია, შევხვედროდი სოფლის უზუცესებს და შემეკრიბა ინფორმაცია ნოჯიხურზე, მემუშავა თემაზე. მეც, მარტო რომ არ ვყოფილიყავი, ჩემი ერთგულ მეგობარ ბელა ვთხოვე, რა მოეწონებოდა დავადიოდით. დიდხანს ვერაფერი შევაგროვე, თითქმის იმედიც გადამეწერა. უკანასკნელი იმედი შოთა ფიფია იყო. ახლაც მახსოვს, ჭიშკარის რომ მივაღვით მე და ბელა, ბატონი შოთა ეზოში რალაცას საქმიანობდა. შემოგვეგება, მიგვიპატიჟა. მორიდებით ავუსხენი მოსვლის მიზეზი. ის დაფიქრდა და მითხრა: შემოდის დაგეხმარო, მაგრამ მონათხრობს სჯოლს გამოიმარო ხვა და შენთვის საქირო მასალებს წერილობითი ფორმით მოგვანვით. გახარებული შინისკენ მოვფ-

რინავდი. მიელ სოფელში ძლივს ვიპოვე ადამიანი, რომელსაც ახსოვდა ან გადმოცემით იცოდა ნოჯიხურის შესახებ. მეორე დღეს, როგორც მითხრა მივედი და მართლაც დამახვედრა მასალები. დიდი მადლობა გადავუხადე ბატონ შოთას და გახარებული ნამოვდი. მერე თემა მხატვრულად დავამუშავე და მაინც ჩემს გამარჯვებაში ბატონი შოთას წვლილი დიდა. მისი თანადგომა რომ არ ყოფილიყო, ვერც თემას დავეწერდი. მას შემდეგ რამდენი წელი გავიდა... დღეს ბატონი შოთა ცოცხალი აღარ არის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს!

ბევრჯერ მიფიქრია იმ თემაზე. მეხსიერებას ჩემსას შემორჩა, თუ როგორ ააოხრეს თურქებმა შემოსევის შედეგად ნოჯიხური და როგორ ანამეს, ჩამოასრწვეს ბერი.

ახლა უკვე 55 წლისა ვარ და ამდენი ხნის მერე ემიგრაციიდან რომ დავბრუნდი საქართველოში, ყველაზე პირველად ჩემს მშობლებს ვესტუმრე ობუჯში. როცა შეიტყუო ჩემი ჩამოსვლა, ჩემი კლასელი ვალერი ძაძამია (ამჟამად სოფლის ახალ სკოლაში მუშაობს პედაგოგად) გვესტუმრა, ჩემი მშობლებიც მოინახულა (ერთად მუშაობდნენ და ძალიან თბილი ურთიერთობა აქვთ ახლაც) და მათთან ერთად მეც. სკოლის დამთავრების მერე ვალერი არც მენახა. დიდხანს ვისაუბრეთ, ბევრი რამ ბავშვობის ამბებიც გავიხსენეთ, სკოლისდროინდელი ამბები. მშობლებიც გახარებულნი დარჩნენ. ვალერის წინასწარ გამზადებული ჰქონია სიურპრიზი ჩვენთვის. მან ცალ-ცალკე, მე და ჩემს მშობლებს თბილი წარწერით გვარქუა დანივლ ფიფიას წიგნი, სახელწოდებით „ბორჯი“. სხვათა შორის, იმ დღეს (ჩემდა სამარცხვინოდ) საუბრისას ორი მეგობარი სიციყვა ვისწავლე ვალერიანე: ბორჯი — დრო; ზორდა — ზღვა.

სახლში, ზუგდიდში რომ დავბრუნდი დიდი სიამოვნებით წავიკითხე, ყველაფერი ჩემს ობუჯზე იყო. როცა მივაღვეცი ლეგენდას — „ნამონასტრალი ობუჯში“ კითხვისას გული ამიფანცქალდა, რუთუ ამდენი წლის მერე რაზეც ვოცნებობდი, ამისრულდა-მეთქი! დაახ, ზუსტად ასე გამოდგა. თურმე ასეც ხდება ცხოვრებაში.

სამშობლოს თავისუფლებისათვის მეგრძოლი, ობუჯის მკვიდრი ეს ზუმბრა-ზი ადამიანი, რომლის საფლავიც არ არსებობს და რომელიც ბოლშევიკურმა ტირანიამ შეინირა, თურმე ბატონი შოთას ახლო ნათესავი ყოფილა. იგი დანიილის ნანერებს სათუთად ინახავდა, რომლის წყალობითაც მისი შემოქმედების ნაწილმა ჩვენამდე მოაღწია.

ბატონი შოთას ოჯახისა და ცნობილი მწერლისა და პუბლიცისტის — თამარ ფიფიას დიდი ძალისხმევით გამოიცა შესანიშნვი წიგნი „ბორჯი“, რომელიც მომავალ თაობებსაც მოუთხრობს ამ დიდებული პიროვნების ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

აი, თურმე საიდან მომანოდა მასალები ისტორიულ ნოჯიხურზე, ბატონმა შოთამ, აი, როგორი ნიჭიერი ადამიანი შემოქმედებასთან მქონია მე, მოსწავლეობისას შეხება. და ეს სასიამოვნო მოულოდნელობა ნახევარი საუკუნის შემდეგ აღმოვაჩინე.

დავაკნინებ, მაგრამ მაინც მონივნებით მინდა მაღლობა გადავუხადო ადამიანებს ასეთი დიდი ამბავისთვის სამშობლოს წინაშე, ასეთმა ადამიანებმა დღემდე მოიყვანეს საქართველო.

გვყავს თუ არა სოფელში, მთლიანად ქვეყანაში ბევრი ასეთი პიროვნებები, რომელთა ნაღვანსაც თაობები საუკუნის შემდეგაც მადლიერებით მოიხსენიებენ? — არა მგონია! ჩემი აზრით, აი, ეს არის ის ბედნიერება, რაზედაც ღირდა სიკვდილი.

ვინ იცის, იქნებ ამ წიგნმაც, ჩვენი სკოლის შესახებ რომ იწერება, წლების მერე, ბევრი ბავშვობაში დააბრუნოს და გული გაუთბოს, მაშინ ამ წიგნის შემქმნელთა ღვაწლი ნამდვილად არ იქნება წყალში გადაყრილი.

მინდა ყველას მოგეფეროთ, ყველა ობუჯელს, ყველა ჩემს მასწავლებელს, კლასელებს, მეგობარს...

ღმერთმა ზეციური სასუფეველი დაუმკვიდროს, მათ, ვინც ჩვენ დაგვაკლდა.

მინდა ჩემმა ობუჯმა კვლავ ილორძინოს, იმრავლოს, სკოლებში ისმოდეს ჟრიამული, ხალხი იყოს ბედნიერი...

ჰვარავდეს ჩემს ობუჯს და ობუჯელებს წმინდა ქიანის ხატი! ამინ!

რუსუდან ურდიანი,
ობუჯის საშუალო სკოლის 1977-78
წლის კურსდამთავრებული.
ზუგდიდი, 2016 წ.

ენბურის ერთი ერთგული მეც ვარ...

(ნაწყვეტი წიგნიდან)



ნოდარ შარტავა ახალგაზრდობისას

ჩვენი ოჯახი

მე დაიბადე ქ. ზუგდიდში, ნესტორ და მარიამ (სიდორენკო) შარტაშვილის ოჯახში. მამაჩემი — ნესტორ შარტავა, დაიბადა ნალენჯის რაიონის სოფელ ობუჯში 1910 წელს და იქვე მიიღო 4 კლასის განათლება. მას მშობლები ადრე გარდაეცვალა, იძულებული გახდა ოჯახი ახალგაზრდას დაეტოვებინა და 30-იან წლებში სამუშაოს საშოვნელად აფხაზეთში გადასულიყო. აფხაზეთში მამამ ბევრი სამუშაო გამოიცვალა. იყო კირქვის კარიერის მუშა, შემდეგ გადავიდა თამბაქოს დამზადების სფეროში. თამბაქოს კულტურამ აფხაზეთში კარგად მოიკიდა ფეხი და მის მოვლა-კრეფას და დაბინავებას საკმაო მუშახელი საჭიროებოდა. სამუშაოს საძებნელად იმ ხანად აფხაზეთში ჩამოვიდა მარიამ სიდორენკო (მომავალი დედაჩემი). ჩემმა მშობლებმა იქ გაიცნეს ერთმანეთი. დედაჩემი მრავალწლიანი ოჯახიდან იყო. მან ისევ, როგორც მამაჩემმა, ოთხი კლასის განათლება მიიღო და იძულებული გახდა სამუშაოს საშოვნელად ქ. კრასნოდარიდან აფხაზეთში ჩამოსულიყო.

მე დაიბადე 1935 წელს ქ. ზუგდიდში. 1937 წლიდან ჩვენი ოჯახი მუდმივ საცხოვრებლად ქ. სოხუმში გადავიდა. იქ, 1938 წელს დაიბადა ჩემი ძმა ნანსი.

ოჯახი

1942 წლის ზაფხულში გერმანელებმა დაიწყეს სოხუმის ინტენსიური დაბომბვა. დედაჩემი დარჩა მარტო, ორი მცირეწლოვანი ბავშვით, გადაწყვიტა ბავშვები გადაეარჩინა და მე და ჩემი პატარა ძმა ნანსი სოფელ ობუჯში წაგვიყვანა, რომელიც მდებარეობს ნალენჯისა და ჯიხაშკარის შორის. მგზავრობიდან არაფერი მასხოვს. ომის გამო მატარებლები ლამე დადიდნენ და მგზავრობისას ჩვენ ალბათ გვეძინა. ზუგდიდში ჩასვლის შემდეგ დედამ ფეხით ჩაგვიყვანა ობუჯში, ჯიხაშკარის გავლით. საღამო ყამს ჩავიდით ობუჯში გუგუ შარტავის ოჯახში.

გუგუ და მამაჩემი — ნესტორი ალალი ბიძაშვილები იყვნენ. ეს ერთადერთი ოჯახი იყო იმ პერიოდში, სადაც დედაჩემს ჩვენი მიყვანა შეეძლო. ბატონ გუგუს და მის მეუღლეს როქოს ჰყავდათ ერთი ვაჟი-ვილი ლეონტი (ობუჯის საშუალო სკოლის მასწავლებელი), რომელიც ომის დაწყების პირველივე დღეებში ჯარში გაიწვიეს. ბატონ გუგუსა და ქალბატონ როქოს ოჯახში იმ წლებში ცხოვრობდნენ ბაბუა იოსები (ქალბატონების ჩოქოსა და ხუხუს მამა) და ქალბატონი ხუხუ.


ქალბატონი ხუხუ პროფესიით მკერავი გახლდათ, იმჟამად იმყოფებოდა მობილიზაციაში ქალაქ ზუგდიდში, სამკერვალო საამქროში. ჩვენი ბიძა გუგუ შარტავა იყო ჩასიძებული იოსებ კაკაჩიას ოჯახში.

იოსებ კაკაჩია, ბოლშევიკების მოსვლამდე, სოფელ ობუჯის ეკლესიაში მსახურობდა „სტაროსტად“, ეს ის ეკლესია იყო, სადაც ესვენა ქიანის ხატი, რომელიც ბოლშევიკებმა ეკლესიის დანგრევების შემდეგ ზუგდიდის მუზეუმს გადასცეს. მწერალმა ლეო შენგელიამ (ჩვენი სკოლის ობუჯის მკვიდრმა) ფსევდონიმად „ქიანელი“ აიღო. ბატონი იოსებ კაკაჩია ლაბაში აღნაგობის კაცი გახლდათ. ჩვენ მას „ბაბუს“ ვეძახოდით და ჩემს გულში ის ერთადერთი ბაბუად დარჩა. მამის მხრიდან ბავშვებს არც ბებია და არც ბაბუა არ გვახსოვს. ისინი ადრე გარდაიცვალნენ. დედის მხრიდან კი კარგად გვახსოვს ჩვენი ბებია დუნია, რომელიც კრასნოდარში ცხოვრობდა და ომის დამთავრების შემდეგ ჩვენთან სოხუმში სმირად ჩამოდიოდა, ბაბუა იოსები მუდამ

ქართულ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, რომელსაც მას მისი ქალიშვილი ქალბატონი ხუხუ უყვარდა და უვლიდა როგორც მსახიობს, როგორც სათაყვანებელ პიროვნებას. ჩვენი ობუჯში ჩამოყვანის შემდეგ, ქალბატონმა ხუხუმ აიღო ნებართვა და ჩამოვიდა თავისი სიძის ოჯახში, საიდანაც გააგრძელა დავალების შესრულება — საბჭოთა ჯარისკაცებისათვის ყველა სახის ტანსაცმელს კრავდა. ბიძა გუგუ ყოველ კვირას ცხენით ჩადიოდა ზუგდიდში და ჩაჰქონდა შეკერილი ტანსაცმელი, ხოლო საამქროდან ოჯახში ჩამოჰქონდა საკერავი მასალები. კარგად მახსოვს პირველი დღეები, როცა მე და ნანსი მარტო დავრჩით ობუჯში, ერთ დღეს გამოვიპარეთ სახლი-

დარჩენილი ხის მასალისგან იყო აგებული. კარგად მახსოვს ჩემი პირველი მასწავლებელი ლეა სონგულია, რომელიც პირველ და მეორე კლასებში მასწავლიდა.

1943 წლის მიწურულს, მამაჩემი ომიდან ჩამოვიდა. ის ქართულ დივიზიაში რიგით ჯარისკაცად მსახურობდა, ქერჩთან ბრძოლებში მამაჩემი მძიმედ დაიჭრა. მას ორივე ფეხში გერმანული ნაღმის 42 ნაშტის ვეჭო მკერდა მოხვედრილი. ჰოსპიტალიდან მამაჩემი თაბაშირში ჩასმული ფეხებით, გემით ნოვოროსისკის მიმართულებით სხვა ათასობით დაჭრილთან ერთად გადაჰყავდათ. ნოვოროსისკის მისადგომებთან დილის საათებში ავადმყოფი ჯარისკაცებით სავსე გემზე, გერმანულმა წყალქვეშა ნავმა



ნოდარ შარტავა 80 წლის ასაკში. (2015 წ.)



ნ. შარტავა მეუღლე იულიასთან ერთად ეგვიპტეში, პირამიდებთან. 1966 წ.

დან და დედასთან სოხუმში ჩასვლა დავაპირეთ. გზად ვლაპარაკობდით: „ვოტ ტუდა ზუგდიდი? — „ვო ტუდა ნალენჯია?“ ჩვენ ხომ მარტო რუსული ვიცოდით იმხანად. მეზობლებმა იცოდნენ რომ ჩვენ სოხუმში-დან ვიყავით ჩამოსულნი და უკან, ოჯახში დავაგაბრუნეს.

ბაბუ იოსებს სვეტებზე შემდგარი მეგროული, ხის სამოთხიანი სახლი ჰქონდა, რომელიც ყავრით იყო გადახურული. საცხოვრებელი სახლის გვერდით მეგროული ორთავიანი სამზარეულო იდგა, რომელიც მრგვალი ხის მორებისგან იყო აწყობილი. სამზარეულო ისლით იყო დახურული. სახლიდან ხელმარცხნივ, ხის ერთთავიანი მარანი იდგა, სადაც რამდენიმე ქვევრი და პატარა ზომის საწინააღმდეგო იყო მოთავსებული. მიუხედავად სივრცისა და სიღრმისა, ოჯახში არაჩვეულებრივი ატმოსფერო სუფევდა. ჩვენმა ჩამოსვლამ ოჯახი გამოაცოცხლა. იმ უაზრვი საქმის მიუხედავად, რომელიც ყველა ოჯახს აწვინდა ტყევილად, ბაბუ იოსების ოჯახი ბავშვების გამოჩენით გამოხარულა, მათ სახეზე ღმილმა და ბედნიერებამ დაისადგურა. ბავშვებმა ვიგრძინეთ სითბო და აღერსი ამ კეთილი ადამიანებისგან და ნელ-ნელა მეგროულად ავლავარაკდით.

ოჯახში უშუქობის გამო რადიოზე ლაპარაკი ზედმეტი იყო, ამბები ცოცხლად მოდიოდა ფრონტიდან და ხალხი ერთმანეთს ტკივნიდა და სიხარულს უზიარებდა. ჩვენი გამზრდელნი ყოველდღე უშედეგოდ ელოდნენ ფრონტიდან მათი შვილის, ლეოს ნერილებს. ომის დამთავრების შემდეგ მოვიდა ხმა, რომ ლეო შარტავა ტყვედ ჩავარდა და გერმანელების სამხედრო ბანაკში იყო. 50-იან წლებში ჩვენს ოჯახში მოვიდა ტყვედნამყოფი ჯარისკაცი, რომელმაც დააიძვრა ჩვენი გამზრდელნი, რომ მათი შვილი ცოცხალია და რომ ტყვეები 1948 წელს უცხოეთიდან ქალაქ ოდესაში გემით ჩამოიყვანეს. ეს ტყვეები საბჭოთა მთავრობამ ციმბირის ბანაკებში გადაგზავნა და ჩვენი ოჯახი, ლეო შარტავას შინ დაბრუნებას ვერ ელიდა.

1942 წლის შემოდგომაზე მოვიდა დრო ჩემი სკოლაში წასვლისა, მაგრამ ჩემმა გამზრდელმა ბიძამ, გუგუ შარტავამ თქვა, „ეს ბავშვი ძალიან გამხდარია ტანით პატარა, დავიცადოთ და ერთი წლის მერე შევიყვანოთ სკოლაში“. ასეც მოხდა. მე შემეყვანეს სოფელ ობუჯის საშუალო სკოლაში, რომელიც ეკლესიის დანგრევების შემდეგ

იერიში მიიტანა. მამის თქმით, გემი შუაზე გაიპო და დაჭრილი ჯარისკაცები წყალში ჩაყვავდნენ. ათასობით ადამიანი დაიღუპა. მამა კი ორი მიზეზის გამო გადარჩა — პირველი, რომ ის იმყოფებოდა გემბანზე და მეორე ის, რომ მან ბავშვობიდან კარგი ცურვა იცოდა. წყალში ჩავარდნის შემდეგ მამამ თაბაშირის ნახვევები მუხლებზე შემოიტეხა და ნაპირისკენ გასცურა. როგორც მამა ამბობდა, გემი ისე სწრაფად ჩაიძირა, რომ ეკიპაჟმა ვერ შეძლო ვერც ერთი სამაშველო ნაჯის გამოყენება. ათასზე მეტი ჯარისკაციდან ნაპირამდე სულ ასამდე ადამიანმა მიაღწია. ნოვოროსისკიდან მამაჩემი სოხუმის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს, მას დიდი ხნის მკურნალობა დასჭირდა. 1944 წელს მამა სოფელ ობუჯში ჩამოვიდა. ის ფეხზე ვერ დგებოდა და მხოლოდ ორი ყავარჯნით შეძლო გადაადგილება. ჩვენი გამზრდელნი ზრუნვას არ გვაკლებდნენ. ორ წელიწადში მე და ნანსიმ რუსულიდან სუფთა მეგრულ ენაზე გადაინაცვლე. ერთი ცული სიტყვა არ მახსოვს ამ ადამიანებისადმი. ჩვენთან ურთიერთობაში ისინი ხმარობდნენ ასეთ სიტყვებს — „სკუა“, „ნანა“, „სკანი გოლუაფირო“, „ქო ნანა“, „ქო სკუა“. ნანსის, როგორც უმცროსს, მეტი ყურადღება და ზრუნვა ხვდებოდა. კარგად მახსოვს ღმირ ტაბაქაზე რომ დააგებდნენ, ნანსის ორი-სამი ნაჭრით მეტ ყველს ჩაუღებდა ქალბატონი ჩოქო. „ჭკომი ნანა“, „ჭკომი სკუა“. პრინციპული და უფრო სამართლიანი ჩოქოსთან შედარებით ქალბატონი ხუხუ მეჩვენებოდა. ის ნანსის ისე არ ანებებოდა, როგორც ქალბატონი ჩოქო. 1945 წლის ზაფხულში გადაწყდა ჩვენი სოხუმში წაყვანის საკითხი. ამ დროისათვის ჩვენ უკვე სამი ვიყავით. 1944 წლის თებერვალში დაიბადა ჩვენი მესამე ძმა ედუარდი.

ომი დამთავრდა. სოფელი საყოველთაო სიხარულით მიიღო, ბევრი დაუბრუნდა საკუთარ ოჯახს, მაგრამ ძალიან ბევრი ადამიანი ვერ ეღირსა ამ ბედნიერებას. არსად ჩანდა ჩვენი გამზრდელის შვილი ლეო შარტავა. გავიდა რამდენიმე წელი და სადაც 60-70-იან წლებში ოჯახში ცნობა მოვიდა, თითქოსდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ერთ-ერთი ცენტრალური გაზეთის კორესპონდენტმა ნახა ადამიანი, რომელმაც ძალიან ბევრი შეკითხვა დაუსვა მას იმ სტატიის გამოსვლასთან დაკავშირებით, სადაც ენგურების მშენებლობის ეპიზოდები იყო აღწერილი. კორესპონდენტის

თქმით, ის პიროვნება გერმანულად ლაპარაკობდა, მაგრამ საგრძნობი რუსული (უფრო სწორედ აღმოსავლური) აქცენტით. მას ძალიან აინტერესებდა სტატიის მიმართული პიროვნების ნოდარ შარტავას საქმიანობის, წარმოშობის და ნათესავების საკითხები. ამ ადამიანს კორესპონდენტისათვის არ დაუტოვებია თავისი მისამართი, არც ტელეფონი, ერთადერთი, რაც კორესპონდენტმა შეამჩნია, იყო ის, რომ უცნობი პიროვნება ძალიან აღელვებული ჩანდა და მისი თვალები ცრემლებით იყო სავსე. მართლაც, მახსოვს გერმანელი კორესპონდენტი, რომელიც ჩვენთან იყო ჩამოსული ენგურების მშენებლობაზე, მან ძალიან ვრცელი მასალა დაბეჭდა თაბაშირის კამპის მშენებლებზე და ბევრ ადამიანებთან ერთად ჩემი გვარი და სახელიც რამდენჯერმე მოიხსენია. ეს ყველაფერი მე გავიგე სტატიის გამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ. ბევრ დაველაპარაკე, ავუსხსენი ჩვენი ოჯახის მდგომარეობა და ის პრობლემა, რაც ჩვენი გამზრდელის ერთადერთი შვილის, ლეო შარტავას ბედთან იყო დამოკიდებული. უნდა გითხრათ, რომ დრო მანც საკმაოდ რთული იყო. სისტემა ძალზე ძლიერი და მკაცრი, მე და ჩემმა ძმებმა ვერ შევძელით რაიმეს დადგენა ლეოს ამბავთან დაკავშირებით.

დაუბრუნდეთ 1945 წლის შუა ზაფხულს. ჩვენს გამზრდელ გუგუსა და მამაჩემს შორის იმ პერიოდში ძალზე საინტერესო ლაპარაკი შედგა. ბატონმა გუგუმ შესწავლა მამაჩემს, მენ სამი შვილი გყავს და ერთ-ერთი ჩვენ დავციტოვებ, ჩემი ქალები მარტო ვერ გაძლებენ და შეიძლება გავგიჟდეთო. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ნანსის ხვედა ნილად მეტი ყურადღება და მოფერება, რადგან ის უმცროსი იყო. გამზრდელმა ბიცოლაზე მამამ და მშობლებმა მათ უარი ვერ უთხრეს. ასე დარჩა ნანსი ობუჯში გუგუ შარტავას ოჯახში. უნდა გითხრათ სიმართლე, ჩვენ სამივე ძმა ვგრძნობთ, რომ ვიზრდებით არა ერთ ოჯახში, არამედ ჩვენ გვყავდა ერთი დიდი ოჯახი, რომელიც ნანილობრივ იყო ობუჯში და ნანილობრივ სოხუმში. ჩვენ ნილად გვხვდა ბედნიერება გვეგრძნო სითბო და ალერსი არა მარტო დედამამისაგან, არამედ ორმაგი ბედნიერება მიგველო ამ უთბილესი და უტყბილესი ადამიანებისაგანაც. თუ ჩვენში არის რაიმე კარგი და ადამიანური, ეს პირველ რიგში ამ საოცარი ადამიანების დამსახურებაა.

ბავშვობაში ჩემი უახლოესი მეგობრები იყვნენ ლადო გულუა და ენვერ ფიფია. ჩვენ სამივენი ერთ კლასში ვსწავლობდით და ერთი ბავშვური ინტერესები გვაკავშირებდა. მე და ლადო მდინარე ჭანისწყლისადმი სიყვარულმა დაგვაახლოვა. ზაფხულობით ჩვენ მთელი დღის განმავლობაში წყალში იხვებოდით ვცურავდით. კარგად შევისწავლეთ წყლისქვეშა სამყარო და საჭიროების შემთხვევაში შეგვეძლო ნებისმიერი ნივთი შეგვენახა კლდის ფულუროვებში. მახსოვს უამრავი შემთხვევა, როდესაც ზუგდიდიდან ან ნალენჯიისა ჩამოსული მთაბრუნის ნივთები გვეკითხებოდნენ „აბა, ბიჭებო, სად არის ამ მიდამოებში დიდი თევზი? მე და ლადო ის ადგილები ვიცოდით და ვარყენებდით კიდევ. ამის შემდეგ იწყებოდა დინამიტის ჩაგდება და „ბრაკონიერები“ იწყებდნენ თევზის „დაჭრას“. ჩვენ ნაპირიდან ვუყურებდით „ბრაკონიერების“ თევზობას და მას შემდეგ, რაც ისინი წავიდოდნენ, ჩვენ ვინწყებდით ნამდვილ თევზებს.



მარცხნიდან: ნანსი შარტავა, მარია სიდორენკო, ნოდარ შარტავა, მეუღლე იულია და ქალიშვილი მანანა. სოხუმი, 1966 წ.

დღეს მე და ლადომ ჩვენს ოჯახებში უამრავი თევზი მოვიტანეთ.

ორი კლასისი დამთავრების შემდეგ, მე გადამიყვანეს საცხოვრებლად ქ. სოხუმში. აქ თავდაპირველად გამანაწილეს შ. რუსთაველის სახელობის ქართულ საშუალო სკოლაში, ხოლო შემდეგ გადამიყვანეს ახალგაზრდა ქართულ მე-11 საშუალო სკოლაში, რომელიც ლავრენტი ბერიას სახელობის გახლდათ, ხსენებული სკოლა, ჩვენი სახლის ახლოს მდებარეობდა და იქ მისვლას მე ათ წუთს ვანდომებდი. მიუხედავად სოხუმში გადასვლისა, ობუჯი მაინც რჩებოდა ჩემთვის საყვარელ და ახლობელადგვიღებდა. სკოლის არდადეგების პირველსავე დღეებში მე და ჩემი მეორე ძმა ედუარდი ობუჯში ჩავდიოდით და იქ ჩვენს საყვარელ ოჯახში ჩვენი გამზრდელის მზრუნველობის ქვეშ ვცხოვრობდით. ქალბატონი ხუხუ, ომის დამთავრების შემდეგ დარჩა თავისი დის ოჯახში და ობუჯის სამკურნალო სახეობაში მკურნავდ მუშაობდა. უნდა გითხრა, რომ იმ მართლაც და ძნელ დროს მკურავის პროფესია, დიდი მოთხოვნით სარგებლობდა. ქვეყანას უჭირდა ყოველნაირად. არ იყო საკმარისი რაოდენობით ტანსაცმელი და ხალხი მეტწილად მკერავების (მოდისტების) შეკერილი ტანსაცმლით დადიოდა. ქალბატონი ხუხუ უნივერსალური მკურავი გახლდათ. ის ადვილად კერავდა, როგორც მამაკაცის, ასევე ქალის ტანსაცმელს. სოფლის ცენტრში გაიხსნა სამკურნალო სახელოსნო და ჩვენი გამზრდელი ქალბატონი ხუხუ იქ მკურავად დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა. რამდენადაც მე ვიცი, მან აღზარდა უამრავი გოგონა და შეასწავლა მათ მკურავის პროფესია. გადიოდა წლები, ჩვენ ვიზრდებოდით და თანდათანობით

ზაობას. იმ ადგილებში, რომლებიც მე და ლადოს წინასწარ გეგმავდა ამორჩეული, უამრავი თევზი რჩებოდა და მისი ამოღება ჩვენთვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა. ასეთ დღეებში სახლებში თევზით დატვირთულები მოვდიოდით.

გავიდა წლები და ჩაის კულტურის დასამუშავებლად, ჩვენს რაიონში დაიწყეს მხამქიმოკატების შემოტანა. მიუხედავად დიდი საფრთხისა, ზოგიერთმა არაკეთილსინდისიერმა ადამიანმა გაბედა და ჭანისწყალი ამ საშინელი სანამლაჟით მოწამლა. მე და ლადო რაღაც ნივთების ჩამოსატანად წალენჯიხაში გავეგავზავენს, სახლში უკან დაბრუნებისას წალენჯიხა-ობუჯის საზღვარზე ერთმა ნაცნობმა ბიჭმა გვითხრა: „ჭანისწყალი მოწამლულია!“ ჩვენ გავიქეცი, მდინარისკენ. გავიხადეთ ტანსაცმელი და დავინახეთ მდინარის სანაპირო, თევზით იყო მოფენილი. არ დამავიწყდება ნყლიდან ნაპირზე გამოჩნული ვეებერთელა წვერას ბორცვა. ასეთი რაოდენობის თევზი მდინარის სანაპიროზე ჩვენ არც მანამდე და არც მის შემდეგ არ გვახსოვს. იმ

ვამბობდა ახლგაზრდულ ასაკში გადავდიოდით. სოფელი ობუჯი ერთ-ერთი გამორჩეული ადგილია წალენჯიხის რაიონში. აქ დაიბადა გამოჩენილი ქართველი მწერალი ლეო ქიჩელი (შენგელაია). ობუჯში დაიბადა გამოჩენილი კინორეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია (ნატო ვაჩნაძის მეუღლე), ელდარ და გიორგი შენგელაიების მამა. ობუჯში იყო აშენებული არაჩვეულებრივი ქართული ეკლესია, სადაც ესვენა ქიჩელის ხატი, მართლმადიდებლური სამყაროს გამორჩეული მშენებელი. ამ ეკლესიის დახურვის წინაპერიოდში მისი უცვლელი „სტაროსტა“ (მამასახლისი) გახლდათ ჩვენი გამზრდელის მამა, იოსებ კაკაჩია. საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესია დახურა, ხოლო ნაშალი მასალიასგან ვეებერთელა სკოლა, უნივერსიტეტი და სოფლის ადმინისტრაციის შენობები ააგო. ამ ნაგებობებს ნაზის ფიცრები ამშვენებდა. ჩვენს კლიმატურ პირობებში ეს ყველაზე უფრო მისაღები და გამართლებული მასალაა საცხოვრებელი სახლებისთვის. ობუჯში დაიბადა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი შოთა მესხია. გავა წლები და შეიძლება ვინმემ დაამატოს ამ სიას პაჭარა წინადადება — „ობუჯში გაატარა ბავშვობის წლები და სწავლობდა დაწყებით კლასებში, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის ერთ-ერთი ამშენებელი, ნოდარ შარტავა“ (მიღეთ როგორც ხუმრობა).



ნ. შარტავა (თეთრ ჩაფხუტში) კოლეგებთან ერთად აკონტროლებს ბეტონის ჩანყობას თაღოვანი კაშხლის სხეულში.

და „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის ლაჯანურჰესისა და რიონჰესის მშენებლობის სამმართველოების ინჟინრად, უფროს ინჟინრად და განყოფილების უფროსად, 1962-1964 წლებში — ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროს ინჟინრად. 1966-1968 წლებში მივიღინებულ ვახლად ევგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობაზე. 1968-1986 წლებში ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს „კაშხალმშენის“ სამმართველოში გაიარა ყველა თანამდებობა ოსტატიდან დაწყებული სამმართველოს უფროსამდე. 1986 წელს დაინიშნა ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსად და ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1994 წლამდე, სამმართველოს გაუქმებამდე.

1994-2009 წლებში ნ. შარტავა მუშაობდა გაერთიანება „მოსენერგოს“ თბოელექტროსადგურის ტეც-27-ის მშენებლობაზე რუსეთში.

ნ. შარტავა დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენითა და მედლით „შრომითი მამაცობისათვის“.

კოეზია



ნინო კაკაჩია

ნინო მამუკას ასული კაკაჩია დაიბადა 1992 წელს, წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში.

ობუჯის საჯარო სკოლა დაამთავრა 2010 წელს ვერცხლის მედლაზე. იმავე წელს ჩაირიცხა ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე 30%-იანი გრანტით. უნივერსიტეტი დაამთავრა 2014 წელს.

ბავშვობიდან წერს ლექსებსა და ჩანახატებს. მისი პირველი ლექსები გამოქვეყნდა ჯერ კიდევ 2004 წელს, აღმანახ „ქიჩელის ხატის“ ფურცლებზე, რუბრიკით: „ნორჩ შემოქმედთა სივრცეები“, შემდეგ კი ლიტერატურულ გაზეთ „ნოჯიხურში“.

ამჟამად ნინო კაკაჩია ახალგაზრდა ლირიკოსთა ჯგუფის „თანამშრომლობა მუზასთან“ წევრია. მისი ლექსები პერიოდულად იბეჭდება საქართველოს მწერალთა სახლის „ლიტერატურულ გაზეთში“ და ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ჟურნალ „ციცკარში“.

ნინო კაკაჩია ასევე არის USAID-ის მკვლევარ-ინტერვიუერი; სამეცნიერო კონფერენცია „ISC-2013“ გამარჯვებული (მოხსენება „კლასიკური და რიტუალური სუიციდი“). მუშაობს „სოციალური თერაპიის სახლში“ ფსიქოკონსულტანტად.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ ლექსებს ნინო კაკაჩიას შემოქმედებიდან.

ქალაქში გაზაფხულს ელიან...

კურტიზანის საგა

როგორ გიხდება ხავერდის კაბა, მოგაგზავნა ტანით ჰერცოგინიას! დახვეწილი ხარ! ღვთაებრივი ხარ! მომწონხართ შენ და შენი ფინია! დაბერავს სველი ნიაჟი ღამის, წვეთი გაჩნდება ბროლისფერ მკერდზე. მოყვება ქალი სევდიან საგას თავის წარსულზე და თავის ბედზე. შერჩება ზამთარს ცრემლები ცხელი — პურიტანივით როგორ გაგნირეს.

იქ შენი ქმარი იქნება მცველი და შიშველ ღამეს არ გააციებს. როგორ გიხდება ხავერდის კაბა, მოგაგზავნა ტანით ჰერცოგინიას! დახვეწილი ხარ! ღვთაებრივი ხარ! მომწონხართ შენ და შენი ფინია!

ღღის რეჰვივი

ტბასთან თავმჯდომეობით იდგენს ხეები, ნვიშებს ეძინათ გზატკეცილებზე, ელოდებოდნენ ქალებს კეპები, ქალელი ზამთარს მიაცილებდნენ. და სადაღაც ქარში შეშლილი ქვერივი ბიურგერული და უგემოვნო ფლანელის კაბით და შავი მძივით სამხრეთის ზღვაურს ემაღებოდა. შორს კი ანგრევდნენ ცას ჭილყვაგები... უკრავდა ტბასთან ნაცნობ რექვიემს დღე უსიცოცხლო და შინარევი... გზატკეცილებზე ეძინათ ნვიშებს.

შენ მზის ცოლი ხარ!

შენ მზის ცოლი ხარ, უმანკო ხარ, მაგრამ მე ვიცი, ყველა ღრუბელთან და ვარსკვლავთან რომანებს აბამ, დედამინიდან მოტაცებულ გიმრისფერ თვალებს ნუკრივით ნაბავ! შენ მზის ცოლი ხარ! უმანკო ხარ, მე ვიცი, ვიცი, ყველა ქალღმერთი შემოგნატრის ზიზღით და ბოღმით; შენ ხომ არასდროს არ გახდები დედა ჭინკების, კანის მოდგმის!

შენ მზის ცოლი ხარ, უმანკო ხარ, მაგრამ მე ვიცი, მთვარემ ათასჯერ მიგაჯაჭვა ზევსის სანოღთან.

უცებ დაეშვა ოლიმპოდან ღმერთების ჯარი, მთებიც გასწორდა! იყო მდიდრული, ბოჰემური ღამე და ალბათ იმ ღამით კლავდნენ ჯადოსნური დაშნით ონავრებს. შენ მზის ცოლი ხარ, უმანკო ხარ, მაგრამ მე ვიცი, ყველა ღრუბელთან და ვარსკვლავთან აბამ რომანებს!

გზაში

ფეხმძიმე ქალებს გვანან ღრუბლები, მზე მალაღია და ღამის მალაგეს. ღიადაგები, როგორც ცხენები, მიაქანებენ გადამწვარ ტრამალს. ვხვდავ, მომდევენ მთის პასატები, დანგრეულ ფლუგერს მტკრის ბული ასდის, თავგამეტებით უკრავს ვაგონში ვოლნიოზე ცალთვალა პანსი. გარეთ კი დალლილ მენისქვილეებს ემაღებოდა მზის ჰექსები, ფანჯრებთან ორთქლის ჩამოსულ წვეთებს დასასველებლად არ ვემეტები. სახსრებში ისევ ვიგრძენი ტკეკა. მგზავრებს გაუთბათ თითქოს გულეები... ამ პერიოდში, როგორც არასდროს, ფეხმძიმე ქალებს გვანან ღრუბლები.

მაგიური თიატრი 2

როგორც მეძავი შუაღამით დანგრეულ სახლთან, დგახარ და გინდა ყველა სურვილს შეასხა ფრთები, არ გეშინია ჰადესიდან ამოძვლილის, ცერბერის ყელზე შემოხვეული ცხრათავა გველის. რომ მოკლას სიზმრის დამშეული ფობეტორები, შენი ციკლოპი ელოდება ღამის წყვილადებს; თითქოს ბინძური კუნჭულიდან გამოპარული თავებს მიადებს... და ასე ივლით, სანამ მიწა იქნება თბილი, სანამ მეგობრობს ბელიაღი და თანატოსი, ყველა სურვილი იზემებს, იქნები მშვიდი, როცა დადგება აღსასრული ამ სამყაროსი.

მაგიური თიატრი 1

სული მიყიდე ხორციანად ქვის ლევიანთან და ყველა ცოდვა განტყევესი იკისრა ვაცმა, სამარტელის ლოცვებისგან დალილმა თითქოს ქრისტეს მოსთხოვე ხელმეორედ გოლგოთა, ჯვარცმა. როგორც სამოთხით გამოჩიყულ ყველა ლუციფერს მზის კარიბჭესთან ელოდებოდა მოგვების ჯარი, შენც მოგენია შურისგების და მტრობის ნიშნად ბაიხალიდან გამოქცეულ ქვიშების ქარი. ორსული ხარ და ორ სულობას ებრძვიან შენში, დახშულ ყურებში ყრუ ტკივილის მტკაველიც ატანს. ქრისტეს მოსთხოვე ხელმეორედ გოლგოთა, ჯვარცმა... სული მიყიდე ხორციანად ქვის ლევიანთან.


ქარიშხლიანი

(ქალვება 13 ივნისის ტრაგედიას)

* რომანსერობებს მოჰქონდათ წვიმა — მელანქოლია ივნისის დღის; და დედლოსის გადახსნით მკერდზე ჭინკებს ეძინათ მეფური ძლით. დღე იტყვიდა გაკვეთილ მუცელს, ნეკერჩხლებს სველი ემოსათ პლისე... და სადაღაც მაღლა ტანაყრილ ღრუბელს წვიმაში ქოლგით მიყავდა ქრისტე.

* ნუხელ ისე ხმაურობდა ღმერთი... ნუხელ ისე ცახცახებდა მიწა... წმინდა გრაალ იესებოდა ცრემლით და ზეციდან ის ცრემლები წვიმდა. გამჭრალიყო სილაამაზეც დილის, ცას წვდებოდა მგლოვიარე ტურნე, შავი თაღბი დაებურა თბილისს, სიკვდილცელით მოდიოდა თურმე. ანგელოზებს არ ეძინათ ცაზე... წმინდა გრაალ იესებოდა ცრემლით ნუხელ ისე ხმაურობდა ღამე... ნუხელ ისე ხმაურობდა ღმერთი...

„ო, საქართველოვ! — სამეფო ვაზო თამარის!..“



ნაიმ (გია) შახმუროვი

ბიოგრაფიის შესახებ რა შეიძლება მოგახსენოთ (რაკი ამითაც დაინტერესდით):

ზოგადი შეფასებით იგი ისეთივე ტკივილიანი იყო, როგორც ჩვენი ქვეყნის

ბოლო ათწლეულების ისტორია, თავის ავხედით გადატრიალებითა და მისგან მომდინარე ყველა მოვლენით.

და მართლაც, წლები ეროვნული მოძრაობის აღზევებისა, ისე, როგორც მთლიანად ქვეყნისათვის პირადად ჩემს ცხოვრებაში ერთგვარი შემობრუნების ნერტილი აღმოჩნდა, რადგან, მან კიდევ უფრო თვალნათლივ დამანახვია, რომ ღირსეული ადამიანის ცხოვრების გზა ჩვენი ისტორიისა და წარსულის მქონე ქვეყანაში შეუძლებელია ყოველი მამულისშვილის გულზე არ გადაიდოს!

მამულისშვილისა ამ სიტყვის შემართებით, — ილიასეული, — გაგებით, რაც პროცესებზე გვერდიდან დაკვირვებასა და პირადი კეთილდღეობის იმედად საკუთარ ნაჭურჭში შეკეტვას იმთავითვე გამოორცხავს!

სწორედ ასე აღმოვჩნდი მეც, პროფესიით ასტრონომი და მათემატიკოსი, 29 წლის ასაკში ჩემი ეროვნული სკოლის კონცეფციით; ახალი სამ საუწავი სახელმწიფო დროშის, — მამული, ენა, სარწმუნოება, პროექტით და მთელი ჩემი სინარჯულით ჩართული ეროვნულ მოძრაობაში!

და ასე, ერთგვარი შემოვლითი გზით

— ვითარცა ბედისწერით მივედი და ჩავუღრმავდი კიდეც ჩვენი ქვეყნის ისტორიის საფუძვლებს!

თუმცა ეროვნული იდეებისათვის ღწვა ვინ დაგაცადა, როცა ეროვნული ალტინება ქვეყანაში სისხლში იქნა უსასტიკესი ფორმებით ჩახშობილი და ბორბალი მისი ბედისწერისა უკუღმა დაბრუნდა!

შემდგომ აღნიშნულისა ვიყავი წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიური წევრი, თუმცა ღრმად მქონდა გაცნობიერებული ისიც, — და ამ აზრზე გახლავთ დღემდეც, — რომ ერთადერთი გზა ქვეყნის ეროვნული ძალების ქვეყნის სათავეში დაბრუნებისა და 90-იანი წლების მიჯნაზე ვერაგულად განცვეტილი ხსულის გაგრძელებისა მაინც და ისევ არ ჩვენების გზაა!

თუმცა საუბედუროდ ჩვენდა, პატარა გამოჩინებების გარდა ეს დღემდე მაინც ვერ ხერხდება და უპირველესი მიზეზი ამისა ის ღობია, რაც მოახერხებს და თვალზე გადააკრეს საზოგადოებას გარკვეულმა ძალებმა, რომელთაც ვერაგულად ეროვნული ნიშა უყავით!

მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, არ არსებობს ძალა და ვერაგობა, რომ-

ლიც სიტყვას წრფელს და ეროვნულს, — ნათქვამს ილიასეული გულით, წინ გადავდგობა!

აი, სად, — რა ადგილზე და რა ღწვაში, — ვიმყოფები მე დღეს!

რაც შეეხება მშრალ საანკეტო მონაცემებს, იგი ასე გამოიყურება:

დაბადების თარიღი — 1959 წლის 2 სექტემბერი;

ეროვნება — ქართველი;

დაბადებისა და სასკოლო განათლების მიღების ადგილი — ზესტაფონი;

განათლება — უმაღლესი, 1981 წელს დათავის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

სარწმუნოებით — მართლმადიდებელი ქრისტიანი;

აქტიურ ინტერესთა ძირითადი სფეროები — საქართველოს ქართველთა ისტორია; სამყაროს იდუმალების შეცნობა და ზოგადად მეცნიერება; ხელოვნების ყველა სფერო; სპორტი და, რასაკვირველია, განათლების სფერო, სადაც პროფესიონალური მოღვაწეობის 27-წლიანი გამოცდილება გამაჩნია კიდეც;

ვარ დააჯახებული; მყავს მეუღლე და სამი შვილი;

ამჟამად ვცხოვრობ თბილისში.

დიდება შენდა საქართველოვ!

„საქართველო, როგორც ვაზი მინახე გაერთხმება ხოლმე, მაგრამ გამოდარებისთანავე, როდესაც ხიფათი გადაივლის წელში სწორდება და მძლავრ ტოტებს მზისკენ იშვერს“

ფრედერიკ დიუბუა დე მონპერიე ფრანგი მოაზროვნე და მეცნიერი.

შენ კავკასიის გულში გერგო — გადგმა ფესვების, გზათ შესაყარზე მიმოქცევის დიდთა რქენათა, რათა სწორედ აქ აგემოლტა ლოდები ცისკენ და ვენახით ძალი ცხოველი ზეცად გენახა! განგებით უფლის ხვედრს შერთვისხარ ოდითვე ამგვარს, მთლიანად შვილთა გულში ნახად გარდამდი, შენ ხომ მედეას შესანავლე — „ჯადო“ ყვავილთა, თვით პრომეთეს კი აუაღლე ცეცხლი მარადი! ტომები ქართუს, შეგჭობდიან უნივე აკი, — ოდენ მითები ისტორიის ლასტებს დაზნიქავს, ბალავრად გიდგას — ფარნავაზის სიბრძნე უებრო, და ვითარ ჭიგოს, — სახელითაც, — ენას ჩანენხარ! ათასთა წელთა ესრე ქმნილა — ხატება შენი, „ლილე“ და „ლალე“ შელექილი ზეცას აკენიდან, ფეხის წვერებით განფენილი როკვად ძალუმად, იებით სამთა და ხორუმით ღირსით დაფენისა! გინდობდენ განა? — მომხედურებმა გალენეს მკლავნიც, ბელტებში გართხმულს მინაც ცრემლით ბევრჯერ გილოკავს, მაგრამ განამაგრს — ჭირსა შიგან ვითარ ქეთკირი, ზეცისკენ ლოდი კვლავ და ისევ მაინც მიგქონდა! ძალამ ვერარამ ამიტომაც აღფიფხვრა ძირი, ვაზის მტევნებში გადანვდილი განცდად მამულის, კავკასიცი თავად დასაცავად მოგჯირია ამაღ, ვით სპა დავითის — ჯაჭვის ორით სალასამურის! ერთობაც რწმენის დულაბია — შენი სიმტკიცის, ჩუქურთმის რკალში ჩახვეული გზენად ხაზისა, უფლისკენ აბა ცის ბილიკი სხვას ვის უკვალავს, საკუთარ ტანზე ანახლვევი გვართ ვაზისა!

ო, საქართველოვ! — სამეფო ვაზო თამარის, ზესვლავ და ფიქრო ცის ლაყვარდში ლოდთა ატყორცნის,

არ ვაქო ვითარ — სწორუბოვი შენი სიმაღლე, არ დავთვრე ვითარ — „მცხეთის ჯვრით“ და „ვეფხისტყაოსნით“! განგებით უფლის ნაწრთობა — შენი ხალიბი, გზათ შესაყარზე მიმოქცევის დიდთა რქენათა, რათა სწორედ აქ აგემოლტა ლოდები ცისკენ და მარადისი ძალი ცხოველი ზეცად გენახა! გაბრწყინდე უნდა! — შენ ღირსი ხარ ყველა გვირგვინთა, გენში ქართველთა მძლავრ მირონის მადლით გარდამდი, დიდება შენდა! — უსამანო მშობელო ჩემო, დიდება შენდა! — საუკუნო, — ან და მარადის!

მცხეთის ჯვარი

შეხედე და გულს განმერთხო ატირებად, — საქართველოვ შენს სიყვარულს ვესავ, — „მცხეთის ჯვარი“ — უკვდავებას

გავჯირება! „მცხეთის ჯვარი“ — სასუფეველს შესვლა! გულს დადექ! — ცრემლი უნდა დავიკო! — დროის სრბოლას რა საოცრად ვუძლებთ, „მცხეთის ჯვარი“ — ისტორიის გაცხადება! „მცხეთის ჯვარი! მოურღვევი ფუძე! განა მარტო ცის და მიწის აერთება, — საოცარი წარმოჩენაც სულის, „მცხეთის ჯვარი! ქართველ კაცის სულის სახე!

„მცხეთის ჯვარი“ აღმაფრენა სრული! დღეს რას ითხოვს საქართველო შეიღებისგან? — მომავალი — შეხედე და იგრძენ, „მცხეთის ჯვარი! — ცისკენ აზრის ატაცება!

„მცხეთის ჯვარი“ მოქმედების სიბრძნე! შეხედე და გულს განმერთხო ატირებად, — საქართველოვ შენს სიყვარულს ვესავ, — „მცხეთის ჯვარი“ — უკვდავებას

გავჯირება! „მცხეთის ჯვარი“ — სასუფეველს შესვლა!

დავითი მოდის!

ხატით შუენიერ, მწყობრ ნაკეთოვანი, მზერა — მზის სხივთა გულთა წვდომანი!.. სხეული მძლავრი, მძლავრი გონება, სიბრძნე-სიმაღლით ცას შეწონება! ებჭო ვაზირთა, იმცნო საზღვრისა, გადასწვდა სხვათ ძვრას, — ზარნი არისხნა,

და აპა აწვდილი მარჯი და ლომი დავითი მოდის! დავითი მოდის! მეფეა მეფეთ! — ნათელი ნათლის! — ამრ თევზთა შთამსხმი იმრ წყალთა შორის, აღგვანთოს უნდა, აღგვანთოს უნდა — ფუსფუსით გარჯის! ყიფინით ბრძოლის! არა მოლიზდვად გულთა და გვამთა, არა ჩაკეტვად ნაჭურჭსა სხვათგან, მოდის აღსრბოლად ფლიდთა, ფარსაგთა, ზეალსვლად — ღირსთა, გმირთა, ნაჯაფთა! მოუცლად სხვისით, მუხლთუყრელ ღწვით, მედგარი ნებით, მედგრული ლტოლით, გვაკირთოს რათა! გვაბრძოლოს რათა!

გვაუნჯოს რათა საქართველოსთვის! ხატით შუენიერ, მწყობრ ნაკეთოვანი, მზერა — მზის სხივთა გულთა წვდომანი!.. სხეული მძლავრი, მძლავრი გონება, სიბრძნე-სიმაღლით ცას შეწონება! იკითხა ამრთა, იკითხა შორის, გადასწვდა ეგრისს, გადმოსწვდა ხერთვისს, და პა აწვდილი მარჯი და ლომი დავითი მოდის, დავითი მოდის! მეფეა მეფეთ! ნათელი ნათლის — შვიდ ძმთა დამსხი ერთ აზრზე დგომით, აღგვანთოს უნდა, აღგვანთოს უნდა — სისავსით აზრის! სურვილით წვდომის! აერთი ერო! გაიხვევ კარო! დამეხსენ ძაძავ ცრემლითა მდეგრების! მამულის მუშო! — ბორგავ სიბნელის, — გულში მახვილი! გზაზე მერეხი! მოუცლად სხვისით, მუხლთუყრელ ღწვით, მედგარი ნებით, მედგრული ლტოლით, გვაკირთოს რათა! გვაბრძოლოს რათა! გვაუნჯოს რათა საქართველოსთვის! ხატით შუენიერ, მწყობრ ნაკეთოვანი, მზერა — მზის სხივთა გულთა წვდომანი!.. სხეული მძლავრი, მძლავრი გონება, სიბრძნე-სიმაღლით ცას შეწონება! ებჭო ვაზირთა, იმცნო საზღვრისა, გადასწვდა სხვათ ძვრას, — ზარნი არისხნა, და პა აწვდილი მარჯი და ლომი დავითი მოდის! დავითი მოდის!

თამარი


„თამარ წყნარი, შესანყნარი“ — რამით ქვეყნის მომცორველი, ღწვა კეთილი, ძვრა კეთილი — მეფე ერზე მომლოცველი, „მზე-მცინარი“, „მუქ-მჩინარი“ — ქალი სიბრძნის დაუნჯება, ხვად ნებასთან ათას წლის წინ — ძუს ნეტარი გაურჩება! მსურველთათვის მოჭმის ქართლის — ციდან სივრცის დამშვილდება, ერის გენის აერთების არნახული დამშვიდება, ვარძით თუ ბეთანიათ — მიშველ ფეხით დავანება, მზის ამოსვლა კაბადონზე და ზედ ტახტზე დაბრძანება! მატანეს აწვერილი — გაღიმება უცხო ცისკრის, ზეცის უწვედნ საიდუმლოს ნარჩინება შვიდჯერ შვიდგზის! შესვლა, ფრესკათ, — სანეტარო, — ლურჯის მწყაზარ ფასკუნჯებით უკან მოსვლა, — მარადისი, — უცვედნი და თვალუნვდენი! დღესაც ძარღვი იმედების, — მადლით ერის დაურწყება, ქართველებს საცა ჟამთა — ბასრი ჭანგი დაუცვდება, არსმენილი, არნახული, ერს ლეგენდად ჩაკირება, თვით მეზობელ ეპოსთაც კი დღემდე წრფელი გაგვირვება! ერს მიძღვნილი თუნდაც ქვისთვის — გულში სხივთა ჩამღვენივთელი, ერის ყველა ქომავისთვის ცაში ნათლით დამხვედრელი,

უხვი ზღვისებრ, უძრო ცისებრ-გლახაკთ კვართით მომოსველი, ახლაც ქვეყნის ბედისათვის მუხლჩართხმულად მომლოცველი! მატანეს აწვერილი — გაღიმება უცხო ცისკრის, ზეცის უწვედნ საიდუმლოს ნარჩინება შვიდჯერ შვიდგზის! შესვლა, ფრესკათ, — სანეტარო, — ლურჯის მწყაზარ ფასკუნჯებით უკან მოსვლა, — მარადისი, — უცვედნი და თვალუნვდენი! „თამარ წყნარი, შესანყნარი“ — რამით ქვეყნის მომცორველი, ღწვა კეთილი, ძვრა კეთილი — მეფე ერზე მომლოცველი, „მზე-მცინარი“, „მუქ-მჩინარი“ — ქალი სიბრძნის დაუნჯება, ხვად ნებასთან ათას წლის წინ — ძუს ნეტარი გაურჩება!

გიორგი ბრწყინვალე

ის ტახტზე დაბრძანდა სისხლდამწყადარ სამწყსოში, და მონლოთ ალუფხვრა — ძვრა, მხნედ და საკვირვლად, მოვიდა ამ სოფლად სახელით გიორგის, ნოდებით ბრწყინვალის ნათელში დამკვიდრდა!.. სამ მხარედ დაშლილი მას ერგო სამშობლო, სულ ბიჯ-ბიჯ უმატა ნალვანს და ნანინდარს, სად გონი გასჭრიდა — იქ სიბრძნე მოიხმო! სად ძალა დასჭრიდა — ხმლით მისწვდა მანყინართ!.. უგრძნელ, — ჰე მართლაც, — ჯერ ნასწვდა ქართლის გულს, უმადურთ, თარეშით თვით გორსაც განწვილთა, ხერხით რა მტარვალთა — ხალხის შიგ ნასევის, უწინრად ჟამისა იბრძნო და განწვირთდა! აღსრბოლად კაკაბთა იმრთ თავთაც გადასწვდა, სამცხეს კი დედუღეთს — მინანი განწვილინა, ცივის მთას მოაშთო — გულღვდა და ლალატი, ერთგულთ კი მამულის სიკეთედ გასწვილდა! ამ სიბრძნით შეაჭრო უომრად მინანი, ხანიდან სიყრმისვე ერის მზეს ნაფიცმა, და ტახტად ნაბოძი — მიჯნიდან თბილისის, მიჯნამდე დავითის, — ერს შემომამტკიცა! წიგნიც კი მოიხმო — სამართად სიბრძნისად, კანონიც ხმალია — ერთობის საუნჯოვად, დ დროთა ეკვარამში კარამდე ეგვიპტის, დიდებას მამულის სახელი გაუგდო!.. ის ტახტზე დაბრძანდა სისხლდამწყადარ სამწყსოში, და მონლოთ ალუფხვრა — ძვრა, მხნედ და საკვირვლად, მოვიდა ამ სოფლად სახელით გიორგის, ნოდებით ბრწყინვალის ნათელში დამკვიდრდა!..

ენობრივი სიმდიდრე კოლხეთისა



დავნიანული პასუხი აკაკის

„ენას გინუნებ, ფშაველო, მგოსანო მაღალ მთისაო, თუმც კი გვითვისავ მარგალიტს, მკითხველიც იმას მკისაო.“

აკაკი

დიდხან ვიფიქრე ძალიან, თუ რა პასუხი გამეცა, შენთვის, მცხოვრიან პოეტო, დღეცა ვფიქრობდი, ღამეცა. როს დავაპირე სიტყვის თქმა, უცებ თავზარი დამეცა: სიტყვა, მოსული სათქმელად, ენიდან მომწედა, გამეცა. დავლონებულვარ ძალიან, თითქოს სახლ-კარი დამეცა. რადა? რა ღმერთი გამიწერა მარგალიტების მფლობელსა. რომ თავის უშოი ენითა ვერას ვაგონებ მშობელსა?! ბულბულისათვის გალობა დაუნუნია რომელსა? მარგალიტების მფლობელი ენასა ხმარობს ღონედა, და როცა მარგალიტს სთესავს ან თუ ააგებს ყორედა, მაინც ის არი, რაც არი, ქორები მოაშორეთა! იქნებ მე, ჩემმა ენამა, სამშობლო დავლონეთა? ფრთები შევკვეცეთ ოცნებას, დავამხეთ, დავაღონეთა? უვარგისობის მიზეზი ფშაველობა არის სწორედა.

აკაკის გამა გვიანი

„ნინას გინონე, ფშაველა, მოლერსეს მაღალ გვალაში, მარგალიტეფს თას, — მაფირქუ მკითხეშ მუნანიაში.“

აკაკი

ფირქეფი მიანდანერუ, მუ გამა ეკიფშეკიკონი, სქანო, მოხუგეც, მოლერსე სერეფ დღათ ვეგნეშეკიკონი. სიტყვაქ თემ ვეკმარაგადუ ზარ-ხუმაქ ვეგმანთხუკონი, იყუაფუდ მუ, ნინაშე საგამოქ ვემერტუკონი, თეზუმას ვაღმაღონენდუ ხორუაქ ვაკომცუკონი. მარგალიტეფიმ მომინჯეს ანთარ ჟინქ გუმაჭყორკონი? დო ჩქიმი უშოი ნინათი შობელს მუ ვაგვაგონკონი? მაფშალიაშა ღურჭული მიქ ოკო დამნონუკონი? მომარგალიტექ ნინა მა ძალ-ღონეთ მიხეგარეკონი, ბთასი დო ვარი ყორ-ხურგო ევოგ დო ებხურგეკონი. იშენით თინა იქიდუ, ტყურეფი ჩუთხინეკონი. ეგებ მა ნინა ჩქიმიოთი ოქუნე დუალოკონი? ნარტეფს სუალეფ ჩუთხინე, დუვაჭყორ, დუვაგონკონი? ურგებლობაში მიზეზო ფშაველობა მიჩქინეკონი,

მოძღენილი არი მთის მიერ ჩამოტანილი ქარისა, რატომ არ ჰგულობს, არ ვიცო, ამ ჰანგს ბუნება ბარისა?! აქაც ხომ ქართველები ვართ, ყვავილი აქაც ჰყავისა, ხატად ჰყავ, სალოცავ ხატად, მთიელთ სამშობლო თავისა. და ენა მთისა სიმტკიცით მსგავსია კლდისა სალისა; იქნებ, აკლია, არ ვიცო, ამ ლომს სინაზე ქალისა? ამისთვის დასაგმობია და ნასალეები ნყალისა?! კაცი მეტყველი, მგრძობელი, ცხოვლად ამხელი თვალისა, ამგვარის ამბის მონამე, შევედრე, დავმუნჯდე ლამისა. მაინც წინ მივალ, მაინცა, არ მეშინიან შარისა, გულს მიხვინია ხატადა ენა მთისა და ბარისა. მე არც ერთ კილოს არ ვნუნობ, თუა ქართველის გვარისა. მოთაყვანე ვარ ყოვლისა იმათ ტკბილის და მწარისა. სხვა რამ მაშინებს, ისა ვსთქვათ, დამსშობი მზის და მთვარისა, სამშობლოს დამამსშობელი და გამოშვერელი კარისა სჯობს, რომ იმაზე ვიტყროთ, მუდამ მთქმელი ვარ ამისა, ნუ შეგამინებსთ, არ გაგენებსთ მთიდან ყვირილი ხარისა.

ვაჟა

გვალაშე მოჩუქებული ბორიაკ გეგმაბორკონი? თე ჰანგის მუშენ ვალუმანგ, ვამიჩქ, ბუნება რზენიში? თაქით ხო თურეფ მიკუორეთ, შურ მონთხნა პეულეფიში, ოხვამერ ხატო, ოქუნე ვარენო გვალარეფიში? ვარ, გვალურ ნინას ორკუნო სიმტკიცა კირდსალეფიში? ეგება, ჯილოს ვაგარდას სინაზე კაბამეფიში? თემ გურშენ ინახვერუნო კონორალ მაღნყარეფიში? კორ მოჩიარი, მოგინე, სიკურცხა თოლ-ფიჭეფიში, თეცალ ანბეში მოაკანს შიშ გომდირთ თი მუნჯეფიში. იშენ დო, მინიმეწმეუქი, ვამოკეხ მოშარეფიში, ნინა გურხატო ანომრე მოგვალე, მორზენეფიში, ვაბნონე, ფერაფ ვენორე, ქორედა მთურეფიში. ვოთაყვანუქ დო მითიებ თინეფიმ ტკვილ-წნარეფიში. მა შხვა მაფირქენს, გვარუმე მოჩხორიეფი ცეფიში, ნოხორო გინმაჩქუმალარ ოქუნე, ხორეფიში. დომინგარდანი, მით მონნა, ა, ჯერდევი, ჩქიმ ფორქეფიში, ვადომიქურდათ, ვაგონნა კიჟინი გვალ-ბუსქეფიში.

დავნიანული პასუხი აკაკის

„ჯგირ პოეტ, გვალას ნარჩქვანი, მარგალიტებით ემობით, ბრელ ურგებელით ხომ ქობით, ვამოხონს ნინა ნასქანი.“

აკაკი

ფირქე დო ვეგნაჭყვიდირუ მუ გამა გუმეაქიანი, მუჭო დუდ ემიჭყვიდირუ? დღამ დო სერს ვაერთიანი. რაგადი გინობჭყვიდირი, ზარქ ქიგმანთხ, ქიგემიკეტუ დო გამათ მუთ ეკიბქეწინი, ნინაშე მომხორცქ, გაინმერტუ. დალონებაქი გუმასორ, ითამ ცუდე-კარქ ეკმართუ, მუშენ? მუ ღორონთქ გუმაჭყორ, მარგალიტეფი მაგვართუ? დო მუში ნინა უშოთი შობელშა ვალმაგონებუ? მაფშალიაში უშოთი მი ირგ დო, მის დუნონებუ? მარგალიტეფიმ პატონი ნინას ხვარულენს ღონეთი, სო დო, ვარეთო გამგონი, ეგებ გეიოგ ყორეფი, იშენით ვეგნოქიმიწი, ქორეფი დაუთხინეთი. თე ჩქინი სადაბადოსი ხომ ვაბცილებუქ ჩიათი, მუს ფთქუნდ ფერ უბადოსი, გურქ მეულუკო ჭუათი? იშენით, ურგებელობა არგამათ ქობთქუათინი, ხომ ქორე ჩქიმი ფშავლობა, ნინას მუს ეკუვავუნი? თაქი ჩქით ვამოხთურენთო,

ვეპეულუნო პეული, უმურჩქევან ცუჯით ნონენთო, გვალაშე გიმ მუს მეეული? ოხვამერ ხატო ვაქუნსო გვალარეფს მუში მამული? გვალური ნინა მოკაჟე, მი თქუნას, კირდეს ვაგნი, მარა თე, ჯილოს სინაზე ძლაბიში ვაშურდასუნი? ემ გამო, ვაგვანახვერათ, უჯგუ, ვემეჩათ ნყარსუნი. კორი მოგინე, მოგინუ, თოლს კურცხას ვუფაჭუვანქი, ა, მუნჯეფს იმ ქიმშვაძინუქ, ცუს თიშენერს მურჩქილუანქი. იშენიც წიმი მეეული, შარეფსი ვავუმქურდუქი, ართნერო გიმპეული გვალა, რზენ. ნამ ნამს უჯგუქი? გურინა ხატო გემისვანჯ გვალა დო რზენიშ ნინეფი, ნამთინს ვაბნონე, გუმანჯ, ქორედა მოგვარტომეფი. ირფელი ვამოჩქიმუნთ თიმ გემუან დო ნარეფი. მა შხვა მუთუნშა მოქქურუ, ეთინა ოკო ბთქუათი, მიდგარენეფს მოღურეთ მივოჩქუთ, დებთხინუათი, თინეფიმ ხემე, ხორუა ნოხორო მუჭო ბეჯუათი? მუქალუაფარ თენა რე, შურს ვამოხტალუნთ მითინი? ვარე ოქურანჯ, გვალაშე ხოჯიში გიმაკიჟინი.

(დავნიანული პასუხი აკაკის. 1913)
ვაჟა-ფშაველა

აკაკომ, გამა ვაჟაური

„ფშაველა: ნინა ვაგორგუ, გვალაშე გიმმაპოტე, მარგალიტეფი გისორგუ, მაკითხეფ ნუშა ნუმ მეტე.“

აკაკი

ფირქეფით აკოსერელე, სერსუთი ამარ მობტახუ, საგამო ვარე ზერელე, ვეპუნს დო ვეკემატახუ. ვაბჩინებულე, აკაკი მუნერო გუმამართახუ, მანგებიანი ტაბაკი მუშენ მუნმართუ, დუმახუ? დაბლონებექი მანგარო, ცუდე-კარი ხომ ვაკმახუ? მაფშალია მიქ დამინონ, ხონარი გუმეგარმახუ? მარგალიტეფი ეუნონ, ნინას ღონეთი აძახუ. მარგალიტ მამარგალუნი მინს ბთას, მინ ხურგო ხურგ დო ხუ, ართმაჟრას ვაგუდასუნი ვეცი, მი გუმაკვარანახუ? ეგება, სადაბადოქი ონჯლორეთ დეჭიჭ, ტანქ დახუ, ჩქიმ ნინა მოუბადოქი ქეცილ დო, თეს ეკმაძახუ? ურგებელობათ მიგოჩქნა ფშავლობან, თეს მობგუმანე,

გვალური ძღვინი ვემოჩქნა საჭუმან, საოგელანე. ვამიჩქ, მუშენი შორშორენთ თე ჰანგის დობერაღეფი, ჩქით მოხთურენთ დო იშორენთ, — გვიანს გვაპულ ვარდეფი? ოხვამერ ხატო მიოჩქუ ოქუნე მუში გვალარეფს, ნაგვალი ნინა კაჟო ჩქუ, კირდე-სალურო ვალამრე? ეგებ ვაგარდას, ორკუდას ჯილო ჩქიმს ნერი ძლაბიში? თემ გამო ვარდას, ვერგუდას, ვავორდენ მა გინმაჯიში? კორურ ვაგებას ვაბნონე, ფაჭვიფიც პუნს კურცხასი, მარა ღერს სქანიშ გამგონეს ელამჩანს დამუნჯებასი. იშენ მივინმუქ, ვაგუშქვა ბირგულს მითინიშ კაჭასი, გურინა ხატო ალევეშქვა მონძეთურეფიშ ჩიასი. მოქონებ, ვადმანონებ ნინეფი მომოგენტურე, სინდისით, მუთ მალონებენ თინეფიმ ტკვილ დო ფურ ქურე. ჩქი შხვა საჭირო იზჩიათ, მუსუთ მა, ა, ქავოლური, დო თემი ვადებჩინიათ ვამნომრდან მოლშა ნოქური. შიშეფით ვალეჩუჯუათ ხოჯიში გიმახოჯური.

სულიკო

„უჯგუშო მისუ გიშალე“ მაქი დო, ივარტე ექუნა, მარა მუშმა ხანს, იბცალე? მორდებენს ჩქიმ ანოქუნა? შხვაქი ვემაქუნ, ვეგნოთანგ, ვარა მასმაშა ვემიშო, ართ ღერს სუმნერო გეგნილე, ვამორთხინქ, ართით ვემიში? მანთხაშათ ოკო გეგნიბლე, მიმ ქურე? მუშენ დეშიში? სინდიდრა, უშულიებუ ნინური, ა, კოლხეფიში. არძო აფ უგურიებუ ნანინას, შხვა ერეფიში. ვოლფგანგის იმობნაშა ფოიერმტინს, გერმანიაშე: ქვას მაჯუნ „იკო“-ეფითი „სულიკო“-შ გორითმუაშე.

მანგიში საფლეს მერგოურუ, სისმაროთ ვეგმაძირიკო? გურჭვილო გილევიჩულუქ: სო რექი ჩქიმი სულიკო?

ობარდეს ვარდი დორლანტი ომბოლო გემშურიკო, გურ აბაძგილო რკითხენდი: სი ხომ ვარექი სულიკო?

საოქაოთ გვიგვილსუ მევექანე, მედუდმარდიკო, ჟიცაში ცუნჯამარგალიტი ზურზულო ქილითარღვიკო.

შურს ვაქალ მაფშალიანი, ფშალ ფემერს ვემეშეყობიკო,

ქიმგახუმტკვილი სუაცამს: სი ხომ ვარექი სულიკო?

გეიხურთქინი მოლერსექ პეული გეგონინმპიკო, ქალეკუთ, ქალეღურჭულე, ითამ თქვი, ქოვა, სულიკო.

მომერეკლე მურიცხი ჩხორიით გიმანენდიკო, ქემგეკითხ, ქემქახუტოლი: სი ხომ ვარექი სულიკო?

დასუროოვა, ჭკვაჭკვინით ჩხორიეფ ქიგუმორღვიკო, დო თე დროს, ალაფურცქინით ბორიბქ ქალმახარიკო:

თენა რე, მეგორუნდინი, გათეკო, ქიმისვანჯიკო, დლაქ აგკასეურ გემომა დო სერქუ გოგითანდიკო.

ართ სუმო გორთექ: იმურიცხ, ივარდე, იმაფშალიკო, რახანს თაქ მამფრინენა: ღურამახ, ა, მიკორდიკო.

მელამუ... მანგიმ სამარე ანნ, მუმენ გილაბგორიკო? ვეგლეჯრიულუქ ქიანას, თოლშე ჩხე ველუვობიკო.

ქუს, — მამფალია, შურს, — ვარდი, მურიცხის ელგახარიკო... მუ მოგინ მა თე დროსუნი უანჯე, — გაგუმობტქვიკო.

კინ ღუმართ რინამ ხალისიქ, ჭყელო მუჟამმა ვორდიკო? ასე მიჩქ, სო დო, მი რექუნ: სუმ დიხას ბინე, სულიკო.

გაჯით ჯალაღონია

უნებემა რინა

იას, რობუ ინს ეიელს ჭანდარი გინმოფულუნდე, ოკოდ შვან მუშით დორინა, კორინსი ვამოფულუნდე, ინაზებუდ დო გალს მიმარდ, ბჟაჟე ჩხორიეფს ელუდე, ქიანის ათაქოროფუდ, თოლეფი გასორებუდე: ბჟაჟი ჩხორ-სინთე თიასი ჯა ოროთ მუნაყინტუდე, დო იას, ნაბჟაჩხორია ვეგნაფინ, ვეგნაპიცუდე. ოკუსაფუნან ჩაგრება, ნგარათ გურ ალანუხუდე, ბჟაჟ ნაჭყოლოფუს ვენართ დო რობუ მუთ ემატიბუდე? გურჭყოლიმ უსქილადელო იას ფერ ინმუდინუდე. ემერ, მელ, იამ მინოხუ, ვარდფეს ჯამ ორო ვამნოხუ, ბჟაჟ, თიათ მუნაჩხორუდე, ნარლიც მუს მუკურჩქინდედე? დედმულობამ თუდ ოვარდე: — ჩხონეთო მუკირჩქინდედე. ია, თეს ორწყედ, ღურ მულა უმოსო განწარებუდე, ვარდფე რხინენდ უნარღეთ, დო, ია... იდინებუდე.

ბურს

გური, მოჩქიმე ჭიჭე ხანს, უკულ გინმართუქ დიხათი, ართო, თე ბორჯი ჩქინი შვანს ბოშურო გილეგეიკათი. კორნებულს, მონვადინებულს, უჰარამოთი მოშიბულს, მივაცინც, მივაშურხათი, ოხვამალ, ოჩხონაფალო გეტქკომათ, გეშაბხუხათი. გორგნო, ქიგიდგი გურგინი, გოსქენო, ქიმიკექუნ ჩოხათი. ოჭყალო თით ვამბალანანო, გინივრთუთინი ლეტკათი, უგინარ, გორგილაფირო ვალაღეფს ინვეთიითი. ვამმარომლენა ნგარაშა, ვემალეღენა, ბირათი, საფლემი ქუას სანთელო ფუთქურეფქ მუნომლუათი? გურგინით ჭყემა გიმემვას, დო ბჟაჟ ელემემვას ხვიჩათი, ნაირ პეული ემემვას დიხაშე კილ-კილ, კუჭკათი, მანგი მანგს გურით ჯუნუნდას, — ჩქი ნამთინს ვავაშინათი?

ჯვარბოჭყორინი

ქიანას გურქი დაუჩარ, შხამით, ზნეობა ახუნი, უცოდ ზისხირით დაჭითარ ვერნემ საუფლო დლაქინი. მახერხეს გემიქუნესკონ, დუმაიმენდეს ფუჩეფით, ოქუნეს ქანაჯღონესკონ მონადდე დოგურაფეფით. მარა გომკურცხით, ბედეფქი მუ თოისერო აკიჭირ, მომფუჩე მობათნენეფქი "ანგრიშეფით" აკიჭირ, უჩქიმეთ ვართი მართალეფს "არმინმა" უნჭნა ხელეფი, დია უნგარეს ქართალეფს, მარდაღეფს უჭვეს გვერეფი. ბნუხე ანდერძიმ გოლოფათ, მომფურაფეფი ჭყოლოფათ ზისხირიმ ედით ზუღეფი. ოჯახეფეფი ღუმილი, ცას ჩილამური ათარჩხუ, თიმ რინა პანჯ ელფეფი, მით ჯიმამ ზისხირს აპარძლე. მიმ მომუმუმუქე საქმეფით ეჩიც დო, ოშიც ღურუნე, ჭყელეფს ღვაც ველმუჭითონდე ფურმუფეფი დო, ორთუნე. ხინჯ გოღვით კათამ გურეფ შქას, მუმო, გუთმოდვანთ ნყარსუნი? მომსახურეთ დო ვათხიუთ თი შარა მარჩუალსუნი? მუნერო ვარშნა გოღგოთას ნაზარეველი ჯვარსუნი?

მოაფუნს ია მოხერა

მოაფუნს ია მოხერე, დამორჩილს ირემ გურს ეყუნს, ჩქიმ გური აღმამხერე კინე ჩილამურს გილმაქუნს.

გვალეკოლს, სერს ალაბრქილე, ღუ გურღურელო ღუნადუნ, მხვეფეში მი, მა ვალაბრქილე, ჩქიმცალო გურს იჭუნადუნ.

ჭურჭულს ელ ნაირფელეფი? ზუღეფიც ემასქირუნო? გურ ჩქიმიმ მაჭყოლარეფი, თინეკათი ვემაჭყორდუნო?

გოლო მეღას დღამ ფირქეფი

სქანი გვარი „ია“ - თე ვეთებუდეკონი, მარა გენი „იანის“ -ს სოლე გაჩუქენდ, მარგალონას, მინჯეთ ქუქუნდეკონი, ნოჭახნაკუთ შვანმა ვეშემინუხენდ. ამდლა, მერაბ თაქით ქალაირდეკონი, მასსამ გუმან, დო, მათ თენა მანუხენდ, თემ მოდუდე, მიდგა მითინ ვარდეკონი, ვაბკითხ მა და, თვითან მუმენ ვაფირქენდ. ავთანდილო თინა ვალაირდეკონი, მუს ოხვარედ ნესტანს სქანი ნაიმენდ, გინუჭყვიდე შარას ქიგლაღვიკონი, იმპერიას თქვანკმა დუდი ვაიმენდ. მეგამემა ტყვია ვაიზეპკონი ვეშულეზუდ, სქანი დუდექი ვანუჩენდ, სი ქორდი-და, ღურელ გოტყობინკონი მუმო ოკოდ, მუმ დაჯერას მუმენ ვენდ? ვარა ათაქ, ხიის ქუმნუსვანჯკონი, მუმუიანეფს თოლეფზე ჩხე ველუცენდ? ვეგნირთინედ, — მით ზვიადი ვარდეკონი, ართშანიან მაძირაფუც დეეჭვენდ. მონანეთ ღურელქ გემდირთუკონი მუჭო დებჯერქ, მუჭო გემრე, მუჭო გერდ?

ქუგოკოდა, მუდგა შორსი მირდეკონი, სქან ნავონი ნინა ხატმა ანომცენდ, უმულუო, აღსარებას გემრდეკონი, — შხვა მითინი, ჩქიმკმა ვამაღალითენდ. ვამითქულ, მინეფქ ვედეჯერკონი, დარიგებას ჩქიმს მუნერო ღებულენდ? „ბაბუკა“ - ში მდვიან ვეძირეკონი თეში, ნანას ვაიმუმქვანდ, ვაგუტენდ, აბესალომ ტულუმე, ვამოქუნდეკონი მუჭო იყიდ, მარგებელო მოქვენეჯენდ. ზვიად ქურე, გოძიციტინი თოლს უტენდ, სამანჯელი ოკოდ, გეოქოთკონი: — ტატოში, „არაგვხურჩინა“ - ში შინულენდ; „ვემისვანჯასუნ, მუჭო იყუაფ? ღვინიც სუმმა ხომ გეგინხუხუაფ?“ დო, „ნანინა“ - ც ოკო ქუგაშინეკონი: „სუდე გედგ დო, კოჩი გერე, ჩხოუ გევიჯ, ჯა გეჩანს, მარგალურემ ვამიქ გერე, გეგნოთანგე, მუს მერჩანს?

— ჩხოუ ხოლო გერენია, შხვამი ნინა ეკიმქვანს“. უკულ მუმო ოკო გოზინდეკონი: მარგალურქი, ვაგოდ გედირთუკონი? რობაქიძე, ქომნი, ხომ ქოსხუნულენდ? ოფერამამ ჭირქე ვეშანურკონი ეში, მულა იმ გაჭყორდედ, — ფუჩულენდ, გემიოლდე, უტურუნდ ტულუმი: — ხომ ქიგახე კისერს ქორთუმ ულუმი? — „იომ მეშიდინუთია, ბოშეფი“. დიანინა ქურე ჯანუდ, რცქინულენდ. „კვეთებული“ ოკო გამკობდეკონი, ჩქიმკმა ართო, უკოდ, გიმეზეპირენდ. უმულუო ჯვედ მუნანანს ამომენდ, „თექ ვამამინ“ მინიდ, ქიმითვალკონი, შორშიან მუნანანი ძინულენდ, „გომინას მუქ, მუმე, ანამაფორკონი?“ — ნერს გუმუქედ,

ნალდი გურით გონულენდ. პაპეფს ვაკოდ თაქი ქიგერდეკონი, ნინო მესხის მომიზეხენდ, ნონულენდ, მესხიმ ხატიქ ოკო გაჭყორდეკონი, მედროვეფი მუ დო მუს ვაგონულენდ, სინოდში უსინდისო მოხვარათ — ზვიადი ყიზლარს, ხანო ვემთოხონულენდ? მარა ძეგლიმ ბედიდ, ათამ ფთქვიკონი: „მიშამი დრომა“ ნოხლე ანურჩულკონი, ზვიადიშეფქ კურხი გიჯერქეკონი? ამარგერეთ, ნამთინ ვამოჩიულენთ. მიშამი რე და, მუს მუნორეთ, ვაითხუნა ათე დრომაქთაგერე გეგნობორჯკონი? დრომაშა პატ ვეგეიძინა, ჟურნალი „დისკუსია“ ოკო ნეკითხიკონი. ამდლარი დლას „კოკო“ - ქ ვამამინკონი, — უკორნებუდ, ნიგნის ქინშიჭარკონი. „ბაბუკა“ - ში სკამმა მის ამახუნედ? გეიოქოთანდ ემე, მიდგა ორდეკონი. უჩინებ მის, მარა ბები აფრთხილენდ. „თოისერს გოძირანქია დო, მეუფე“, ოჭიშამი, ჭყონებ გიშათილირი ბაბუში სკამს კოკოქ ქამანთხ, აჯინედ, მითა აფუდ, მუჭო ელმავარინედ? ელუდ, ელუდ, ბაბუქ გამნიჯინკონი, მა ფივრქენდი; ჩქიჩქუს ვეიაქოთინედ —

გამნიჯინუ, ნერმე გუმულ გოჭყორინქ: „ეთი სკამი ჩქიმ ვარენო ბოშია?“ გესხაბ კოკოქ, გოკარკაცუ, არტინედ. ომორდიუ „ვესპუჩინი“ ქიანა, მიშასი დო, კოკოს მუთ ეკართინედ? ჭარუობას გვალო მუკორთუდეკონი, მიხაკო, დო მალვა ცალო არგინედ, ნუთორენჯიმ ნაულირი ბორჯიმა ბორჯიმ გამავგირებელი მაღინედ. უჯგუდ, უჯგუდ, დიდჭყონ ქოჭყონენდეკონი, ჭყონდიდელიმ ენარდ ვალაზ-დავითენდ? ამდლარი დლას დალი ვაბმინეკონი, ირო თინკმა, ზვიადის დრო აღინედ. მანანასით შორს ვარტინე, ალურენდ. მანგი, შირ ვარ, სუმც ბორჯო ქუნდეკონი, ეთ, დიმიტრი მეფე ბშუნა, ვაურენდ? „მეტიჩარა“ — ილიას ვალაღუნდეკონი, მარა ვამკვე, იმპერიას აგენტენდ, დო კეკეებეს ვამუხვარებუდეკონი, უნჩამ მეუფეობას მი აღირსენდ. შეულეზუდ ზვიადს, ვეცილუკონი, ვაგომკურცხეს გვიანმა დო, თის იცვენდ. თე ბერეფი, არძოც დუქოსუდეკონი, „რუის-ურბნისიში კრება“ აეჭვენდ? „ვეკანამას“-ს მეტი ქუგახვალკონი, — „მუშნახუნეფ“ გაიოზი ახერხენდ, ზვიადს, მერაბს, ბეჯითს, ვაგორუკონი ვაიშალედ, თიმნერო ორდ მუნახენდ. „დადიობა“, ზვიადს ქოუთხუდეკონი, ათე ხიი ომ პარტიათ ვაკოცენდ, ომ გაზეთო ართიან ვაგაფუჭკონი, იმპერიას მასსა აყიდ უმუხენდ. უკუნეფიმ ანბე ქიგობინკონი, — მეტისეფი ქიანეფს დლას ვამნიჯენდ. კადრეფ ნკუმა ბერია-ცალ ქორდეკონი, თუთმაცეფი თეზმა მუჭო გოუცენდ. რაიხსტაგმა დრომა გემდეგუტკონი, ჩქი შიველებეთ, ქართი ქურე, — მოიმენდ. მომარგალე ხალხიქ გემიკურცხეკონი, მარგალონას, აიეტი დამითმენდ.

გაჯითი ჯალაღონია

სამაჟარნერო გარიაზა მამანტი ქაქამია ნკუმა

გურს ხელეფი გეტქურილო, დო თოლეფი გენკურილო გორწყედი დო ვაბჯერს იშენ სქანი გორგილაფა, — სქანკმა, მუჭოთ შერგილაფა, პერო სქანით ნაჭკვერს, მუჭო მუკულუას ღურუქ, ისი სი ხომ ვაულურუქ. შური ემგარტებუდენი, „მარგალონა“-მ მანჯღვერიშა მუმ რაგადიც გოკოდენი, ხუთი ნუთი ნორკობუდე... შურქ გემგერტ დო, მუ ათქუდედ? იშენ, სქანი გორგილაფა, მუჭოთ მანი, ზურსით ვაჯერს. შურს ღურუში შიშ ვაულუ, ვაულუდ დო ანნიც ვამი, მიორს, მიორს ვათაულუ, სქანცაღეფ ნკმა ჩხონეთ აში. „ილორი“ ხომ ანგანინებ ვითომქეფითი ღურთუთამი, ნინა ნალდის ეკიჩიებ ბორის დავითიამი: უფლებიან ხეალენდია „ცენტრის აშარინაფამი“. მითხი, ქუგმაჯგუფითია, ფოტომ ომქედ ნასქანთია, ჩქით ბრელ ვორდით, მარდი ანთარს, ქუგაგაჯგუფით გუნანთარს. თექ დორხვადუ დიდმარგალი, შურო, ლავრენტ ბერიამი, მაჟრათ, ომქეს ხუს ალაგაქი შურ, აბაშელ კონიამი, ჯგირი გინოჭყვიდელობა ბშუნა, ბშუნა აბაშამი: მემორიალუმ ტიბმარდობა ზვიად გამსახურდიამი. ბრელ გურმოჭყეფს მურთუმუდე, შურსქანს იშენ ექიჭარუ? მუ შმა იყიდ უკაპიკეთ კორექტორი, ხანტუ, ჭარუ... ხანტუ ზაზამ გოხვამლაფა, ვარა შურო ვამაგინედ, ტაქს-დემორიმ მეხვამლაფამ უმშო, ბრუს ვემმართინედ, უკულ დუდი ოჯახნკუმი ონჯლორინას მუკმარჩქინედ? ვამიჩქედუ, ხუჯი აბრთუდე, ართო ნენდა აკივრულით, საენნერო ეკართუდე ილასუნი, გეგ „პატრულითი“ ბედიქ ბრელხანს გარზინუას ფანიათი, გვართ, რჯულით. რედაქტორეფ თოლს ორკუდე „ილორი“ დო „ია“ - ში:

ართიც, მაჟრაც, დუს ვარგუდე, ბირგულ სუსტენდ ლახალამე, ჯანდორთინა, ჩილამურამ ფიჭვიმ გილაფაჭყვამე. ქიანეფიმ მუხვმენცარეფს მუნეფიში ხეშე შენწყით, — ვადოსქილადეუთი ვალეფს, ნინეფიში სალამუსო ეიონწყიმალ ორდუნ, გენწყით: იზორიაქ, ძაძამიეფქ, ფიფია დო კვაშილაქი... არძო გევასახელენი, ვენმანტირე ფურცელს აქი, — თაქ მირენან, მიჩასუ ნაიღალუ დორინაქი, შიმენანი, ოცემქასუ სით დო, მხვეფსით, ჩხონაფაქი. უდეუჯერი ტომეფ იყი იმყარუნ ნაჭარაქი, მუ ქიმინას უჯიბეთი თაობეფიმ მონდომაქი? შემლებერეფს გუჯიკეთი, მურთას გოკურცხინაფაქი, ში კითხენა: მუ აკეთი, მუ დამარდ ქიანაქი? მარგალთო გიჯოგეთი? ონაულთ რე თქვანო თაქი. აქ ქრთამ ვაგურს, ნირსფალეთი ფარამ დინოქუნაფაქი ტყურათ ვადამინდასუ, — გურიმ მუკოქკომუაქი. შქვითტომეულ გიშაიშქუ ვახანამ მოხვარაქი. „სახელო თეთ ბალუდეა, ვაკეთინკონ მუთურქ მხვაქი“. მეტ მიქ მუკოთი? — ჭოფნა შიში? ვარათხინნეს ნკუნსკობაქი, ჩქიმი, „ყოლომტყვამი“-ში — სქანდეთ, მხვეფსით ცვაფილიში — თემენ, ვეუქ, გიმულაქი? შურნალო ქი, ნომერ-ნომერ გვერდის მერე „ია“ - ქი... მათ დო, ართო მარგალონას თეთ, დიდ მეხვამ სიჭინაქი გიორგიქ დო, ჭკვერქ გამგონას: — შინი ძალეფქ მომიჩქ-მაქი! მოთალეფი გემირდანი სანმოხონო ცადებაქი დო, ვეუაფ, ვემირთანი აიეტიმ ნარტებაქი.

გეუფა ბანადიქა (ბეჯითი ჯალაღონია)

სპორტი

ოპუჯალთა გენის მატარებელი



ეს სახენათელი გოგონა — მარიამ მალხაზის ასული კაკაჩია ჯერ მხოლოდ 15 წლისაა, მაგრამ უკვე არაერთჯერ იყო საპრიზო ადგილის მფლობელი კარატეს ჩემპიონატებში თბილისში, ქუთაისში, გორში, ბათუმში, ზუგდიდში.

ზუგდიდის №3 საჯარო სკოლის წარჩინებული მოსწავლეა. დადის აღმოსავლური ორთაბრძოლის სკოლაში. ყველა შეჯიბრების აქტიური მონაწილეა. ოცნებობს გახდეს დიდი სპორტსმენი.

მარიამ კაკაჩიას, გარდა სპორტისა, იზიდავს ხელოვნებაც. ხატავს შესანიშნავად. გოგონა გამოირჩევა სხარტი აზროვნებით.

გვჯერა, მარიამი კვლავაც არაერთხელ გაგვახარებს, როგორც სხვადასხვა სპორტულ სარბიელზე.

ვულოცავთ ნორჩ კარატისტ — მარიამ კაკაჩიას შედეგების ბრწყინვალეობას და ვუსურვებთ სპორტის უმაღლესი მწვერვალის დაპყრობას!

- წარმატების გზის ეტაპები:
1. 17.03. 2017 წ. — ღია ტურნირი კარატეში. თბილისი. I ადგილი;
2. 27. 04. 2013 წ. — ადგილობრივი თასი. ზუგდიდი. III ადგილი;
3. 3. 11.04. 2014 წ. — მსოფლიო თასი. ქუთაისი, I ადგილი;
4. 11.05.2014 წ. — საქართველოს ჩემპიონატი. ქუთაისი. I ადგილი;
5. 21. 10. 2014 წ. — მსოფლიო თასი, თბილისი. II ადგილი;
6. 18.04.2015 წ. — ტრადიციული ტურნირი. ზუგდიდი, I ადგილი;
7. 1-3.05. 2015 წ. — მსოფლიო ჩემპიონატი. თბილისი, III ადგილი;
8. 8.11.2015 წ. — ტრადიციული ტურნირი. გორი. III ადგილი;
9. 19-22.05. 2016 წ. მსოფლიო მართონის თამაშები, ბათუმი, I ადგილი;
10. 11-13.09.2016 წ. — ევროპის ჩემპიონატი. ბათუმი, I ადგილი.
მარიამ კაკაჩია ასევე სხვადასხვა ქამრების მფლობელია:
13.12. 2012 წ. — 8 KUI;
20.06.2013 წ. — 7 KUI;
23.12.2013 წ. — 7 KUI;
13.07.2014 წ. — 5 KUI;
11.12.2014 წ. — 4 KUI.
ახლო მომავალში აპირებს ჩააბაროს 3 KUI ყავისფერი ქამრისთვის. ვუსურვოთ ოპუჯელთა გენის მატარებელ მარიამ კაკაჩიას წარმატებები!

ვალერი კაკაჩია

ფერთა სამცარი სამყარო



წინო კობას ასული კვარაცხელია დაიბადა 1998 წლის 2 ნოემბერს წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯგალში.

2004 წელს შეიყვანეს ჯგალის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 2016 წელს. იმავე წელს ჩააბარა თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, მხატვრული კერამიკის დიზაინის ფაკულტეტზე.

როგორც თავად აღნიშნავს, ხატვის ნიჭი ბავშვობიდანვე დაჰყვა. არ უშინდება სირთულეებს, ცდილობს თითოეულ ნამუშევარში ჩადოს მეტი ემოცია და სიყვარული, რაც დიდ სიამოვნებას ანიჭებს...

წინო ასევე საკუთარ ნახატებს ქარგავს. აქვს თავისებური ხედეა, ინტუიცია და ნახატთა კითხვის ნიჭი, შესანიშნავად არჩევს ფერებს და ამით მნახველი შეჰყავს ფერთა საოცარ სამყაროში.

მისი ნამუშევრების უმეტესობა ფანქრით და პასტიტაა შესრულებული. დაკვირვებული თვალი აუცილებლად შეამჩნევს თუ როგორ იხვეწება თანდათანობით მხატვრის სტილი, გემოვნება, ტექნიკა, ხედეა... წინოს აზრით, წარმატების მისაღწევად საჭიროა თავდაუზოგავი შრომა, მიზანსწრაფულობა და საქმისადმი სერიოზული მიდგომა.

ჩემს აღზრდელ მასწავლებლებს

დიდი სიყვარულით მინდა მოვეფერო და მადლობა ვუთხრა ობუჯის თემის №1 ბაგაბაღის ყველა თანამშრომელს, განსაკუთრებით კი ჩემს აღზრდელ მასწავლებლებს — სალომე და ნატო მეზინებს და გულთადად ვუსურვო მტკიცე ჯანმრთელობა, ოჯახური ბედნიერება და უღლვეი სიხარული!..

ძვირფასო მასწავლებლებო, გჯეროდეთ, არ შეგარცხვენ!

სიყვარულით, გიორგი კოძაძე. 3.03.2017 წ.



ჩვენ ისლა დაგვრჩენია, ვუსურვოთ ამ მართლაც ნიჭიერ გოგონას წარმატებები საინტერესო პროფესიის დაუფლებაში!

ვალერი კაკაჩია

ჩემო მოურჩენლო ტკივილო...


ო, როგორ მიძიმს შენზე წარსულში წერა, ჩემო დაუვიწყარო დაო ინეზა...

აპრილის თვე ძალიან მიყვარდა, ახლა იმდენად არა... ბუნებრივია, ამას ჩემეული ახსნა აქვს: ჯერ ერთი, აპრილი გაზაფხულის შეუდარებელი მხატვარია და აქედან გამომდინარე ადამიანში, მის გონებაში დადებით ემოციებს იწვევს, ეხმარება მას სამყაროს მშვენიერების აღქმაში და, მეორე — ამ თვეში მომავლინა ზენაარმა ამქვეყნად. მაგრამ, სწორედ ერთი წლის წინ, ამავე აპრილმა უდიდესი ტკივილი მომაყენა — შენი თავი წამართვა... უღმობელია წუთისოფელი!

გულნატკენი ვარ, შემოდგომაზე 67 შეგისრულდებოდა, მაგრამ ვერ მოესწარი. ტრადიციულ გულმეძრულმა მოგვიანებით გაგაცნობიერე იმეთიან დამთხვევებზე: მამაც ამ ასაკში გარდაიცვალა, თვე და რიცხვიც დაემთხვა ერთმანეთს. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია — როგორც მამა, შენც გულის მოციმციმე არითმით იყავი დაავადებული...

დედას ჩემ გაზრდაში შენ ეხმარებოდი, რადგან დედამისისმილებიდან ყველაზე უმცროსი მე ვიყავი. შენი გაზრდილი ვარ და ახლა შენ რომ არ მყავხარ, ესეც მიკლავს გულს...

ჩემს ალბომში შემონახულია სურათები, რომელიც უძვირფასესი მატანა ჩვენი უზრუნველი ბავშვობისა... მაგრამ წლებმა ქარივით ჩაიქოლეს... დროება შეიცვალა, ჩვენი ქვეყანა ტერიტორიულად დატოვებული დარჩა. შენც ათასობით ქართველივით დევნილის მიძიმე ხვედრი გაიზიარე და ოჯახთან ერთად ზუგდიდში დაიდე ბინა. აფხაზეთი ისე დატოვე, რომ საოჯახო ალბომის წამოღებაც კი ვერ მოასწარი. ზოგჯერ გაგეხუმრებოდი: სად მიგქონდა, დაგეტოვებინა მამისეულ სახლში და აქ დაგახვედრებდი-მეთქი...



ეს სურათი სოხუმში სტუდენტობისას გქონია გადაღებული, მე არ აღმომაჩნდა და იხას გამოვართვი. ახლა დავეყურებ ამ სურათს თვალცემლიანი და გული მენურება...

ერთი სასიხარულო ამბავი მაინც მაქვს შენთვის და ესაა შენი, მეხუთე შვილიშვილის — ლილეს დაბადება! ვიცი, ძალიან გაგიხარდება, ჩემო მოურჩენლო ტკივილო... შენი სიცოცხლე შენს შვილებსა და შვილიშვილებში უთუოდ გაგრძელდება!

მამატი, მეტს ვერაფერს გავართვი თავი...

დიდი გულისტკივილით, შენი მამა ვალერი კაკაჩია.

ჩემი პირველი დამრიგებელი

40 დღე სრულდება ჩემი პირველი დამრიგებლის, საყვარელი და დაუვიწყარი გუგუშა მასწავლებლის გარდაცვალებიდან.

ამთავითვე ვიტყვი: იყო მომთხოვნი, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი. საოცარი პასუხისმგებლობით გამოირჩეოდა და იგივეს მოითხოვდა სხვებისგანაც.

კლასში ყველა მოსწავლე უყვარდა, სიზარმაცეს არავითარ შემთხვევაში არ გვაპატიებდა, როცა გაკვეთილს კარგად ვპასუხობთ, შექებას არ დაიმურებდა. ახლახან მისმა ქალიშვილმა, ჩემმა კლასელმა, რუსუდან ურიდიამ თავის მოგონებებში გაიხსენა: ჩემი მშობლები პედაგოგები იყვნენ და პირადად ჩემგან ორმაგად მეტს მოითხოვდნენ და არავითარი უპირატესობა არც არასდროს მქონიაო, არავითარი შეღავათები იმის გამო, რომ მასწავლებლის შვილი ვიყავი. უდავო ჭეშმარიტებაა, ნამდვილად ასე იყო.

ერთი უპიზოდი მახსენდება კლასის ცხოვრებიდან: ერთხელ მე და კლასელი გია სონგულია (გარდაცვლილია, უფალმა აცხონოს!) რალაცაზე წავესიკლავდით. ამ დავაში, მოულოდნელად გუგუშა მასწავლებელი დაგვადგა თავზე. ორივეს ფერი გვეცვალა. თითქმის დარწმუნებული ვიყავით ჩხუბის გამო სასტიკად დავისჯებოდი, მაგრამ დამრიგებელმა იმ დღეს დაგვიწლო, თუმცა დაგვანამუსა: ჩხუბი და აყალმაყალი მოსაზონი არაა, თქვენ კლასელები, იგივე ძმები და მეგობრები ხართ, რა გაქვთ გასაყოფიო და როცა მეგონა ამით დამთავრდა ყველაფერი, მოულოდნელად მე მომიბრუნდა და ასე მითხრა: ძამაძია, შენ მასწავლებლების შვილი ხარ, კარგი ოჯახიდან, ამიტომ ის, რაც შეიძლება სხვას ეპატიოს, შენ არავითარ შემთხვევაში არ გეპატიება! წარმოვიდგინე, რა შევ დღეს



დამაყრდინე ჩემი მშობლები სახლში, მაგრამ გადავრჩი, რადგან გუგუშა მასწავლებელმა იმ დღეს დამინდო და არაფერი უთქვამს დედაჩემისთვის.

წლების მერე ჩვენ კოლეგები გავხდით, გუგუშა მასწავლებელს კოლექტივში მოფერებით „უკატერინე გაბაშვილს“ ვეძახდით. ის ნამდვილად მისაბაძი მასწავლებელი იყო თითოეული ჩვენგანისთვის. იგივე შემიძლია ვთქვა მის მეუღლეზე — ჭიჭიკო ურიდიანზე, ბრწყინვალე პედაგოგზე და კეთილშობილ ადამიანზე! უფალმა მას და მის ოჯახს ეს ტრადიცია გადაატანინოს!..

მალალ ღმერთს შევთხოვ, ზეციერ საქართველოში, ჩემი პირველი, საყვარელი დამრიგებლისა და მასწავლებლის სპეციაკის სულის დავანებას, წმინდა საფლავზე კი — ვარდ-ყვავილობას! ამინ!..

ვალერი კაკაჩია

ნოჯიხური

რედაქტორი — ვალერი კაკაჩია

“ნოჯიხურის“ მისამართი:

წალენჯიხა — ობუჯი. ლეო ქიაჩელის №37.

ტელ: 591 91-32-89

გამოიცემა 2005 წლის ოქტომბრიდან

ანყოფა და დაკაბადონება — თია მიშველია

ტელ: 555 49 22 07; 555 50 40 88